„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 280 (5381) | პარასკევი, 9 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

აღვზარდოთ კოლმეურნეები საკოლმეურნეო წესდების ზუსტად დაცვის სულისკვეთებით („პრავდის“ მეთაური)
საკდესის ცნობა (1-ლი გვ.)
ფინეთის დელეგაცია მოსკოვში (1-ლი გვ.)
მ. როზენტალი — მატერიალიზმი და იდეალიზმი (კონსულტაცია. მე-2 გვ.)
ქ. ბარიგიანი — გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა და ხელმძღვანელობა (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვ.)
იზრდება ქუთაისი — საქართველოს ინდუსტრიის მეორე კერა (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკება (მე-4 გვ.)
საგაფიცვო მოძრაობის გაფართოება საფრანგეთში (მე-4 გვ.)
საფრანგეთის მთავრობის სხდომა (მე-4 გვ.)
რუზველტის გამოსვლა (მე-4 გვ.)
საფრანგეთის საწინააღმდეგო ახალი დემონსტრაციები იტალიაში (მე-4 გვ.)

აღვზარდოთ კოლმეურნეები საკოლმეურნეო წესდების ზუსტად დაცვის სულისკვეთებით

ამ დღეებში „პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება **„კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავლის განაწილების შესახებ“**. ამ დადგენილებას, ადგილობრივი ორგანოებისა და კოლმეურნეობებისაგან შემოსულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით, შეაქვს მთელი რიგი ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მეთორმეტე მუხლში, იგი ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრავს საკოლმეურნეო ფულადი შემოსავლის განაწილების წესს. მას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებაში, ვინაიდან მისი თვითეული სტრიქონი შეესაბამება პრაქტიკის საჭიროებებს, გამსჭვალულია პარტიისა და მთავრობის ზრუნვით კოლმეურნეობების აყვავებისათვის, კოლმეურნეობების, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს, რომელზედაც დაფუძნებულია საბჭოთა გლეხობის მატერიალური კეთილდღეობა.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ზრდა—უეჭველი და ფრიად სასიხარულო ფაქტია. უკვე მრავალი ათასი კოლმეურნეობა თავის ფულადს შემოსავალს ასიათას და მილიონ მანეთობით ითვლის. ფულადი შემოსავლის ზრდა განსაკუთრებით გაძლიერდა მიმდინარე წელს მას შემდეგ, რაც სახალხო კომისართა საბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში — „კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორი განაწილების შესახებ“ ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ აუცილებელია როგორც საჭიროა მოჰკიდონ ხელი კოლმეურნეობათა ფულადს მეურნეობას. ეს მეურნეობა წლითიწლობით უფრორდაუფრო ფართო ხდება, და აქ უნდა იყოს სანიმუშო წესრიგი, გულმოდგინე აღრიცხვა, კოლმეურნეთა მიერ სრული ცოდნა იმისა, თუ სად და როგორ იხარჯება ფული.

ფულადი შემოსავლიდან, რომელსაც არტელი ღებულობს, არტელი უწინარეს ყოვლისა „პირველ რიგში უხდის სახელმწიფოს კანონით დაწესებულ გადასახადებს, ისტუმრებს სადაზღვევო გადასახდელებს და უბრუნებს ფულადს სესხებს“. ამრიგად, კანონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულება პირველ და ურღვევ მცნებას წარმოადგენს.

შემდეგ, არტელი იწევა აუცილებელ ხარჯებს მიმდინარე საწარმოო საჭიროებათათვის, ჰფარავს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებს, გამოჰყოფს სახსრებს კულტურულ საჭიროებათათვის და შეავსებს არტელის განუყოფელ ფონდს. მთელ დარჩენილ თანხას არტელი ანაწილებს არტელის წევრებს შორის შრომადღეების მიხედვით. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის განაწილების დაწესებული წესი სავსებით შეესაბამება როგორც საკოლმეურნეო წარმოების ინტერესებს, ისე კოლმეურნეთა ინტერესებსაც. ამას შეიძლება თვალი გავადევნოთ თუნდაც იმის მაგალითზე, თუ როგორ ხდება განუყოფელი ფონდების შევსება.

ცნობილია, რომ უკანასკნელ დრომდე ყველა კოლმეურნეობათათვის არსებობდა განუყოფელი ფონდების შევსების ასეთი წესი: განუყოფელ ფონდში არტელი გადარიცხავდა ხოლმე თავისი ფულადი შემოსავლის არა უმეტეს 10 პროცენტისა. ამჟამად ეს წესი შეცვლილია: განუყოფელი ფონდების შესავსებად გადარიცხვა სწარმოებს მარცვლეულის რაიონებში არა ნაკლებ 12, მაგრამ არა უმეტეს 15 პროცენტის რაოდენობით, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის რაიონებში—არა ნაკლებ 15, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტის რაოდენობით არტელის ფულადი შემოსავლიდან. რატომ არის გათვალისწინებული განუყოფელ ფონდებში გადარიცხვათა სხვადასხვა ოდენობა, ვთქვათ, მარცვლეულისა და მეცხოველეობის რაიონებისათვის? ეს აიხსნება წარმოების თავისებურებებით. მარცვლეულის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ უმთავრესად მანქანები, რომლებიც მტს-ს ეკუთვნის. მაშასადამე, კოლმეურნეობისათვის საჭირო არ არის იზრუნოს გარაჟების, სახელოსნოების და სხვ. მშენებლობაზე. სხვა საქმეა მეცხოველეობის კოლმეურნეობა. აქ საჭიროა ფერმების, ბოსლების, სალორეების, საკვების მოსამზადებელი შენობების და სხვ. აშენება. ცხადია, რომ საწარმოო ხარჯები მეცხოველეობის კოლმეურნეობაში გაცილებით მეტია, ვიდრე მარცვლეულისაში. მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებენ საკოლმეურნეო წარმოების ამ საჭიროებებს და ეხმარებიან კოლმეურნეებს. **რაც უფრო მტკიცე იქნება საკოლმეურნეო მეურნეობა, რაც უფრო დიდი იქნება კოლმეურნეობათა სამეურნეო სიმძლავრე, მით უფრო შეძლებულნი იქნებიან კოლმეურნეები. კოლმეურნეობა, საარტელო მეურნეობა—ეს კოლმეურნეთა კეთილდღეობის ძირითადი წყაროა.**

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ, ცალკეულმა ხელმძღვანელებმა ვერ გაიგეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დედააზრი, ვერ გაიგეს ამხანაგ სტალინის მითითებანი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესებისა და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორად შეხამების შესახებ და ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეები საკოლმეურნეო წესდების საფუძველზე აღზარდონ, ისინი უშვებენ ამ კანონის უხეშ დარღვევებს, იჩენენ დაუდევარ დამოკიდებულებას წესდების დამრღვევთადმი.

ბერეზინის რაიონიდან (ბელორუსიის სსრ) ჩვენ გვაცნობებენ, რომ კოლმეურნეობა „ნოვოე ზაბორიეს“ გამგეობამ მიწის ნაკვეთი იჯარით მისცა კოლმეურნეებს ხუთი წლის ვადით. იმავე რაიონში, კოლმეურნეობა „ისკრაში“ რამდენიმე კოლმეურნეს ჰყავს თავისი ცხენები, მთელი რიგი კოლმეურნეების საკარმიდამო ნაკვეთები თავისი ოდენობით აღემატებიან საწესდებო ნორმებს. არიან კოლმეურნეები, რომლებსაც სამ-სამი ძროხა და ორ-ორი დეკეული ჰყავთ. კოლმეურნეობა „ისკრა“ ყველაზე ჩამორჩენილია რაიონში, ამ კოლმეურნეობაში გამეფებულია უთაურობა, რომელიც პირდაპირ მავნებლობას უახლოვდება; დაიღუპა ცერცველა 4-5 ჰექტარ ფართობზე, დაალპეს ერთ ტონამდე ქერელი, ლპება ცისქვეშ დატოვებული სათესლე სამყურა.

მოგილიოვის ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ზოგიერთ კოლმეურნეებს, წინააღმდეგ წესდებისა, ჰყავთ ცხენები, პირად სარგებლობაში ჰყავთ მეტი პირუტყვი, ვიდრე ეს დაშვებულია არტელის წესდებით. მაგალითად, ბიხოვის რაიონში 23 კოლმეურნეს ჰყავს ცხენები და 252 კოლმეურნეს ორ-ორი ძროხა. მოგილიოვის რაიონში 32 კოლმეურნეს ჰყავს ცხენები და 300 კოლმეურნეს ჰყავს ორ-ორი ძროხა.

მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში თავს იჩენს ბურჟუაზიული ტენდენციები. ეს ტენდენციები კოლმეურნეობებში შეაქვთ დამსხვრეული კულაკობის ნაშთებს ან ნაკლებად მტკიცე ცალკეულ კოლმეურნეებს, რომლებიც ჯერ კიდევ აღზრდილი არ არიან საკოლმეურნეო წყობილების სულისკვეთებით. უნდა შევიგნოთ, რომ წესდების დარღვევებს მოსდევს კოლმეურნეობისათვის ძირის გამოთხრა და ისინი იწვევენ კოლმეურნეთა უკმაყოფილებას. საჭიროა გადაჭრით და სასტიკად დავგმოთ წესდების დარღვევებისადმი უდარდელი დამოკიდებულების არასწორი, არაბოლშევიკური პრაქტიკა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სწორად გატარება ნიშნავს კოლმეურნეთა განუწყვეტელ აღზრდას სოციალისტური სულისკვეთებით, აღზრდას ბურჟუაზიული ტენდენციების გამომჟღავნებასთან ბრძოლაში, ზარმაცებთან, საკოლმეურნეო წარმოების დეზორგანიზატორებთან ბრძოლაში, დაუღალავად მუშაობას კოლმეურნეობათა სამეურნეო ძლიერების გაზრდისათვის, რათა თვითეული კოლმეურნე ხედავდეს და გრძნობდეს კოლმეურნეობის ძალას. კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა უნდა ხდებოდეს შრომადღის ზრდის გზით, და არა საკარმიდამო ნაკვეთების უკანონოდ გაფართოვების გზით. საკარმიდამო ნაკვეთს, პირუტყვს კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში აქვს **დამხმარე** მნიშვნელობა, ხოლო ძირითადი, მთავარია — კოლმეურნეობა, საზოგადოებრივი, სოციალისტური მეურნეობა.

პრაქტიკაში კი ზოგჯერ უხეირო ხელმძღვანელები რომლებმაც იციან, რომ კოლმეურნეებს აინტერესებთ მებაღეობისა ან მებოსტნეობის გაფართოვება, ხალისით თანხმდებიან საკარმიდამო ნაკვეთების უკანონო გაფართოვებაზე ანდა იჯარითაც კი აძლევენ მიწას, რომელიც სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობის სარგებლობაშია გადაცემული. და ეს ნაცვლად იმისა, რომ დაუყოვნებლივ და ნამდვილი ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელი ენერგიით მოჰკიდონ ხელი **საკოლმეურნეო ბაღების** გაშენებას, **საკოლმეურნეო ბოსტნების** გაფართოვებას. ასეთი ხელმძღვანელები შემდეგ ხელებს შლიან, მათ ვერ გაუგიათ გაცდენათა მიზეზები, საზოგადოებრივი შრომისადმი ზოგიერთ კოლმეურნეთა დაუდევარი დამოკიდებულების მიზეზები.

ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების გატარებისადმი იჩენენ, ავალებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს კიდევ უფრო მეტად განამტკიცონ თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, იცოდნენ ყველაფერი, რაც კოლმეურნეობებში ხდება, და აუცილებლად მოუღონ ბოლო წესდების დარღვევებს. დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის კომისიაში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენ თქვენთან ერთად ვწერთ კანონებს, ხოლო წესდება — ეს არის უმაღლესი კანონი, ძირითადი კანონი ახალი საზოგადოების აშენებისა სოფლად“.

ცხადია, რომ მთელი ჩვენი ძალღონე მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რათა ეს კანონი სრულდებოდეს ყოველგვარი დამახინჯებისა და დარღვევის გარეშე, რათა მრავალმილიონიანმა კოლმეურნე გლეხობამ მთლიანად შეიგნოს ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების დიდი ძალა.

„პრავდის“ მოწინავე 8/XII.

საკდესის ცნობა

თევზჭერის შესახებ მოლაპარაკება იაპონიასთან

იაპონიის ზოგიერთი გაზეთი და სააგენტო, იტყობინება რა ამ უკანასკნელ დღეებში თევზჭერის კონვენციის შესახებ საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების მსვლელობას, ცდილობს დაამახინჯოს საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში. ამის გამო საკდესს დავალებული აქვს გამოაქვეყნოს განცხადება, რომლითაც ა.-წ. 25 ნოემბერს მიმართა იაპონიის ელჩს ბ-ნ ტოგოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა.

თქვენ, ბ-ნო ელჩო, — სთქვა ამხ. ლიტვინოვმა, — ეხებით რა თევზჭერის კონვენციას, ჩვეულებრივ იმოწმებთ პორტსმუტის ხელშეკრულებას. თქვენ, ალბათ, მხედველობიდან უშვებთ შემდეგს გარემოებას:

1. პორტსმუტის ხელშეკრულების მე-11 მუხლის ზუსტი აზრის მიხედვით, რუსეთის ყოფილი იმპერიის მთავრობამ იკისრა ვალდებულება „შეთანხმებოდა იაპონიას იმ მიზნით, რომ მიენიჭებინა იაპონიის ქვეშევრდომებისათვის რუსეთის სამფლობელოთა ნაპირების გასწვრივ იაპონიის, ოხოტსკისა და ბერინგის ზღვებში თევზის ჭერის უფლებები“. სავსებით ცხადია, რომ აქედან არავითარი ვალდებულება არ გამომდინარეობს არც თევზჭერის იმ უბნების რაოდენობის მიმართ, რომლებიც იაპონიის ქვეშევრდომებს ეძლევათ, არც ამ უბნების გაქირავების პირობათა მიმართ და რომ ერთიც და მეორეც შეიძლება იყოს მხოლოდ საგანი ნებაყოფლობითი შეთანხმებისა ორივე მხარეს შორის. ამგვარ შეთანხმებათა დადების დროს თვითეულ მხარეს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს ის, თუ რამდენად ასრულებს მეორე მხარე თავის ვალდებულებებს, აგრეთვე მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების საერთო მდგომარეობა.

2. უკანასკნელი წლების მოლაპარაკების მსვლელობაში, როდესაც კი იაპონიის საელჩო პორტსმუტის ხელშეკრულებას იხსენიებდა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი მიუთითებდა მას, რომ იაპონიამ დაარღვია პორტსმუტის ხელშეკრულება მანჯურიის სამხედრო ოკუპაციით, სადაც იაპონიამ იკისრა ვალდებულება არ იყოლიოს არავითარი ჯარი, გარდა რკინიგზის მცველი რაზმისა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 კაცს კილომეტრზე. არაერთხელ ყოფილა აღნიშნული აგრეთვე ის დაბრკოლებანი, რომელთაც იაპონია უქმნის საბჭოთა გემების თავისუფალ ნაოსნობას ლაპერუზის სრუტეში იმ საბაბით, რომ იქ სამხედრო ზონებია, მაშინ როცა პორტსმუტის ხელშეკრულების მე-9 მუხლით იაპონიას ნაკისრი აქვს ვალდებულება არ ააგოს არც რაიმე სიმაგრე და არც სამხედრო ნაგებობანი სახალინზე და მის მომიჯნავე კუნძულებზე.

3. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ იაპონიის მთავრობის მხრივ იმ ვალდებულების ახალი დარღვევა, რომელიც მან შედარებით ახლო ხანში იკისრა. მხედველობაში მაქვს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის გაყიდვასთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც მოყვანილია იაპონიის მთავრობის 1935 წლის 23 მარტის ნოტაში და რომელშიც ნათქვამია:

„იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სიძნელეები შეიქმნება მანჯოუ-გოს მთავრობის მხრივ გადასახდელის გასტუმრებასთან დაკავშირებით, იაპონიის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რაც კი საჭირო იქნება მოცემულ გარემოებებში, რათა სსრ კავშირის მთავრობამ მანჯოუ-გოს მთავრობისაგან სრულად და აღნიშნული შეთანხმებით დაწესებული ვადების ფარგლებში მიიღოს მთელი კუთვნილი გადასახდელი ისე, რომ სსრ კავშირის მთავრობას აბსოლუტურად არავითარი ზარალი არ მოუვიდეს ხსენებულ სიძნელეებთან დაკავშირებით“.

სიძნელეები წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ მანჯოუ-გოს მთავრობამ არ გადაიხადა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის საფასურის უკანასკნელი გადასახდელი 5.981.625 იენის რაოდენობით და, მიუხედავად მრავალჯერ მოგონებისა, იაპონიის მთავრობა თავის გარანტიას არ ასრულებს, თუმცა გადასახდელის გასტუმრების ვადამ უკვე დიდი ხანია განვლო.

შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც იაპონიის მთავრობა, არღვევს რა თავის საკუთარ ვალდებულებებს სსრ კავშირის მიმართ, მოითხოვდეს არა მარტო უკანასკნელის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებას, არამედ იაპონიის იმ მოთხოვნების შესრულებასაც, რომლებიც ამ ვალდებულებათა ფარგლებს სცილდება.

ზემოაღნიშნულის გამო, დასძინა ამხ. ლიტვინოვმა, საბჭოთა მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია დაიწყოს მოლაპარაკება თევზჭერის ახალი კონვენციის დადებაზე ხანგრძლივი ვადით იმ დრომდე, ვიდრე იაპონიის მთავრობა არ შეასრულებს თავის ვალდებულებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის საფასურის გადახდის მხრივ მაინც. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის დამლევამდე, ე. ი. თევზჭერის არსებული დროებითი შეთანხმების ვადის გასვლამდე, დარჩენილი დრო ცნობილ იქნება ანდა აღმოჩნდება არასაკმაოდ ანგარიშის გასასწორებლად და თევზჭერის ახალი კონვენციის შესახებ მოლაპარაკების განსახორციელებლად ან დასამთავრებლად, საბჭოთა მთავრობა, თავისი კეთილი სურვილის დასამტკიცებლად, მზად იქნება დასდოს თევზჭერის დროებითი შეთანხმება ერთი წლის ვადით შემდეგ საფუძველზე. იაპონელ თევზის მრეწველებს კვლავ რჩებათ მათ მიერ ამჟამად ექსპლოატირებული უბნები იჯარის ვადის გასვლამდე. რაც შეეხება იაპონელ თევზის მრეწველთა მიერ ექსპლოატირებულ იმ უბნებს, რომლებსაც საიჯარო ხელშეკრულების ვადა უკვე გაუვიდათ, ასეთები 1939 წლის თებერვალში გაიცემა საჯარო ვაჭრობით, გარდა რამდენიმე უბნისა პრიმორიეს, ოხოტსკის, ნოგაევოს, იჩას და ბოლშერეცკის რაიონში, რომლებიც თევზის სარეწაოს დაცვის ან სტრატეგიული მოსაზრებებით ამიერიდან სრულიად უნდა გამოირიცხოს იაპონიის ექსპლოატაციიდან. ასეთი გამორიცხული უბნების რაოდენობა დაახლოებით არ გადააჭარბებს 40-ს იმ დროს, როდესაც იაპონელთა მიერ ექსპლოატირებული უბნების რაოდენობა საერთოდ დაახლოებით 380-ს უდრის. ამავე დროს შესაძლებელი იქნება ერთი წლით გაუგრძელდეს ვადა საკონსერვო ქარხნების შესახებ დადებულ საკონცესიო ხელშეკრულებებს თევზჭერის სათანადო უბნებში.

საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნულ ზუსტ და კონკრეტულ წინადადებებზე იაპონიას ჯერჯერობით პასუხი არ გაუცია.

ლენინგრადში გაიხსნა ს. მ. კიროვის ძეგლი

ლენინგრადი, 6 დეკემბერი (საკდესი). დღეს ლენინის ქალაქში, კიროვის რაიონის ცენტრალურ მოედანზე, გაიხსნა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, დაუვიწყარი სერგეი მირონის-ძე კიროვის ძეგლი.

ალისფერი დროშებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით მორთულ მოედანზე შუადღისათვის ქალაქის ყოველი კუთხიდან თავი მოიყარეს ლენინგრადის მშრომელებმა.

დღის 1 საათზე ძეგლის გახსნაზე მოვიდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. ა. ა. ჟდანოვი, ამხ. კუზნეცოვი, შტიკოვი, სმირნოვი, საბჭოთა კავშირის გმირები ო. შმიდტი, შირშოვი და სხვ.

ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კოსიგინი საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, საოლქო აღმასკომისა და ლენსაბჭოს დავალებით ხსნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ძეგლს.

„ინტერნაციონალის“ ჰანგებში ჩამოხსნიან ძეგლზე გადაფარებულ ტილოს, და ყველა დამსწრეთა თვალწინ გადაიშლება დიდებული მონუმენტი, რომელიც გამოსახავს სერგეი მირონის-ძის ფიგურას მთელი თავისი სიდიდით. ს. მ. კიროვი მიისწრაფვის წინ. ქარი არხევს მისი საწვიმურის კალთებს. მარჯვენა ხელის გაშლილი ჟესტით ის თითქოს უჩვენებს მშრომელებს დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებათა, ლენინის სახელოვანი ქალაქის მშრომელების გამარჯვებათა სიდიადესა და გრანდიოზულობას.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე მუშებმა და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დახატეს მკვეთრი სახე ბროლივით სპეტაკი ბოლშევიკის სერგეი მირონის-ძე კიროვისა, რომელიც 4 წლის წინათ განგმირულ იქნა ფაშისტთა დაქირავებული აგენტების ხელით.

მოედანზე დიდი გაცხოველება სუფევდა ღამემდე. ათასობით მშრომელები უდიდესი ინტერესითა და სიყვარულით ათვალიერებდნენ ძეგლს, რომლის კვარცხლბეკზე გამოკვეთილია ს. მ. კიროვის სიტყვები:

„ამხანაგებო, მრავალი საუკუნის წინათ დიდი მათემატიკოსი ოცნებობდა ეპოვნა დასაყრდენი წერტილი იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით შეებრუნებინა დედამიწა. გავიდა საუკუნეები, და ეს დასაყრდენი არა თუ ნაპოვნია, არამედ იგი შექმნილიცაა ჩვენი ხელით. ბევრი დრო არ გაივლის, რომ ჩვენ, დავეყრდნობით რა ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის მონაპოვრებს, კომუნიზმის გზისაკენ შევაბრუნებთ დედამიწის ორივე ნახევარსფეროს“.

ჯამბულის ყოფნა მოსკოვში

რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვში სტუმრად არის ყაზახეთის სახალხო მგოსანი, ორდენოსანი ჯამბულ ჯაბაევი. სტალინური კონსტიტუციის დღეს ჯამბული შეხვდა მოსწავლეებს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გამართულ დილაზე, ხოლო საღამოს იყო სტალინის სახელობის ავტოქარხნის კულტურის სასახლეში. აქინი აგრეთვე ესტუმრა თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებს, სადაც მის წინაშე გამოვიდნენ მოსწავლე ყაზახები.

ამ ხნის განმავლობაში ჯამბულმა დედაქალაქში შექმნა სამი ახალი მშვენიერი ნაწარმოები „მე ვმღერი გასხივოსნებულ კრემლში“, „ბედნიერების კანონი“ და „გაუმარჯოს სტალინს!“.

სახალხო მგოსანი დედაქალაქის მშრომელთა დიდი სიყვარულით სარგებლობს. მის სანახავად მოდიან სტუდენტები, მოსწავლეები, მეცნიერები, წითელარმიელები.

ფინეთის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვში ფინეთის მისიის ახალი შენობის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით, რაც ფინეთის ნაციონალური დღესასწაულის დღეს ემთხვევა, 6 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის დელეგაცია გზათა მინისტრის ბ-ნ სალოვაარის მეთაურობით.

ოქტომბრის ვაგზალზე დელეგაციას შეეგებნენ: სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში ამხ. დერევიანსკი, გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. რომანოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის პირველი განყოფილების გამგის თანამდებობის ამსრულებელი ამხ. ნიკოლაევი და სხვები.

6 დეკემბერს ფინეთის მისიაში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ბუდიონი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პოტიომკინი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, დივიზიის მეთაური ამხ. სმოროდინოვი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში ამხ. დერევიანსკი, გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. რომანოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მწერალი ალექსი ტოლსტოი, კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი და სხვ., დარბაზობას დაესწრო მოსკოვში მყოფი დიპლომატიური კორპუსი.

7 დეკემბერს ფინეთის გზათა მინისტრი ბ-ნი სალოვაარა მიიღეს გზათა სახალხო კომისარმა ამხ. კაგანოვიჩმა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა.

7 დეკემბერს დელეგაცია ლენინგრადით გაემგზავრა ფინეთს.

მზრალად ხვნა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს

სიღნაღი, 8 დეკემბერი (საქდესი). სოფელ ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორების სადგურმა გასულ წელთან შედარებით საშემოდგომო მზრალად ხვნა თვენახევრით ადრე დაამთავრა. 6 დეკემბრისათვის, გეგმით გათვალისწინებული 3.500 ჰექტარის ნაცვლად, მზრალად მოხნულია 4.850 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 139,5 პროცენტით.

მანქანა - ტრაქტორების სადგურმა საშემოდგომო მზრალად ხვნის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მიაღწია საწვავი მასალის საგრძნობ ეკონომიას.

მზრალად ხვნა გრძელდება.

აჭარის მიწსახკომის №1 საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი ვ. მეგრელიშვილი ათვალიერებს მანდარინის ახალი ჯიშის „ოშოს“ ნაყოფს. ეს ჯიში ახლად შემოტანილია უცხოეთიდან, კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და წელს პირველი ნაყოფი მოისხა.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

თათბირი მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების საკითხებზე

7-8 დეკემბერს ზოოვეტინსტიტუტის კლუბში საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ა. ზარნაძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა მეცხოველეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, მიძღვნილი სსრ კავშირის მიწსახკომის მეცხოველეობის მთავარსამმართველოს მიერ შედგენილი მეცხოველეობის ჯიშობრივი დარაიონების პროექტის განხილვისადმი.

საქ. მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. კობახიძემ თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა მეტიზაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მეცხოველეობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე იმას, თუ რა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მეტიზაციის მიზანშეწონილად გატარებაში სწორმა ჯიშობრივმა დარაიონებამ, გაუმჯობესებული ჯიშების გეგმაშეწონილად შერჩევამ და გაადგილებამ.

სამიწათმოქმედო ორგანოებსა და კვლევითი დაწესებულებებში მოკალათებულმა, ამჟამად უკვე მხილებულმა და განადგურებულმა მტრებმა განზრახ აფერხებდნენ ჯიშების გაუმჯობესებას, არევდარევა შეჰქონდათ მეტიზაციის საქმეში, შლიდნენ მეტიზაციის შედეგების აღრიცხვას, ზოოტექნიკური ჩანაწერების წარმოებას და სელექციის საქმეს, მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში შეჰყავდათ არაგეგმიური ჯიშები.

პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების პროექტი ძირითადად სწორად ასახავს საქართველოს პირობებს. მიუხედავად ამისა, მას აქვს ნაკლიც. პროექტში სრულიად არ არის გათვალისწინებული მეკამეჩეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა. ამხ. კობახიძეს შემოაქვს წინადადება: მეკამეჩეობის გეგმიური განვითარება და გაუმჯობესება მოხდეს სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, ბორჩალოს, ყარაიას, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირისა და ფოთის დაბლობ ადგილებში. მთელი რიგი წლების დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ შვიცის ჯიშთან შედარებით ნაკლებად ეგუება საქართველოს პირობებს სიმენტალის ჯიშის პირუტყვი. ამიტომ მომხსენებელი მოითხოვს ამ ჯიშის გეგმიური გავრცელების დარაიონებიდან ამოღებას. წითელი გერმანული ჯიშის პირუტყვი უნდა გავრცელდეს საქართველოს დაბლობ რაიონების იმ სოფლებსა და კოლმეურნეობებში, სადაც პირუტყვი სტაციონარულ და ნახევრადსტაციონარულ მდგომარეობაში ჰყავთ ჩაყენებული.

პროექტი ითვალისწინებს თუშური ცხვრის ხალასად მოშენებას, ზოგიერთ სხვა რაიონთან ერთად, თბილისის და სიღნაღის რაიონებში. მომხსენებელი, ასაბუთებს რა ამ რაიონებში წმინდა თუშური ჯიშის გავრცელების უაზრობას, მოითხოვს იგი შეცვლილ იქნას რამბულიეს ჯიშით, რომელმაც უკვე გაამართლა თავისი დანიშნულება.

ამხ. კობახიძემ თავის მოხსენებაში წამოაყენა აგრეთვე სხვა მთელი რიგი საქმიანი წინადადებანი, რომლებსაც პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების პროექტში მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეაქვთ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა.

ამხ. ე. თავდუმაძემ (აჭარის მიწსახკომის უფროსი ზოოტექნიკოსი) მოითხოვა ჯიშობრივი დარაიონების გეგმაში აჭარისათვის არ იქნას შეტანილი სიმენტალის ჯიში, რომელიც ვერ ეგუება ადგილობრივ კლიმატს. ამხ. ქ. სანიკიძემ (გეგეჭკორი) დააყენა საკითხი სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში გეგმიური მოშენებისათვის დატოვებულ იქნას წითელი მეგრული ჯიშის პირუტყვი.

შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა პროფ. დ. აგლაძე, რომელმაც დაუშვებლად სცნო ხალასი თუშური ჯიშის ცხვრის მოშენება საერთოდ და კერძოდ მეცხვარეობის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიცაა თბილისი, სიღნაღი და თელავი. პროექტით ყაზბეგის რაიონში გათვალისწინებულია თუშური ჯიშის ხალასად მოშენება. კამათში გამოსულმა ამხ. ნ. სიჭინავამ (ყაზბეგის რაიონის ზოოტექნიკოსი) მოითხოვა ამ რაიონში რამბულიეს ჯიშის, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ადგილობრივი ჯიშების ნაცვლად შვიცის გავრცელება.

უკანასკნელ სხდომაზე კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ალ. ატბაშიანი (აფხაზეთი), ა. აზიზოვი (ყარაია), ა. გიგაური (მიწსახკომი), ა. ნიკოლაიშვილი, ა. ნატროშვილი, ნ. ჩხეიძე, რაშჩეპკინი, ი. პოპიაშვილი (მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტი) და სხვ.

დასასრულ თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. ზარნაძე. თათბირმა გამოჰყო კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ადგილებიდან მიღებულ და თათბირზე გამოსული ამხანაგების წინადადებათა მიხედვით დააზუსტოს პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სათანადო ორგანოებს.

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის სექციის პლენუმი

7 დეკემბერს სსრ კავშირის მიწსახკომის კლუბში ორდენოსანი აკადემიკოსის ე. ფ. ლისკუნის თავმჯდომარეობით გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის სექციის მე-12 პლენუმი.

პლენუმის ამოცანაა განიხილოს მეცხოველეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი—პირუტყვის საუკეთესო ჯიშების გეგმიანი განაწილება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე რაიონების ბუნებრივი და ეკონომიური პირობების დიდი მრავალფეროვანების გათვალისწინებით. ეს უაღრესად რთული ღონისძიება პირველად ტარდება მსოფლიოში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 500-ზე მეტი კაცი—აკადემიკოსები, პროფესორები, მეცნიერი მუშაკები, მიწათმოქმედების რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და რაიონული ორგანოების მუშაკები და მეცხოველეობის კოლმეურნე სტახანოველები.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ცხენების, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრების, ღორებისა და თხების ჯიშობრივი დარაიონების გეგმის პროექტის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაცია

ლენინგრადი, 7 დეკემბერი (საქდესი). პირველი საჯარო ლექციები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ დიდი წარმატებით სარგებლობენ ლენინგრადის მშრომელთა შორის.

ვასილეოსტროვის რაიონში წარმატებით ჩატარდა ლექცია შემდეგ თემაზე: „ლენინის შრომა „რა ვაკეთოთ?" ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიური საფუძველია". ეს ლექცია 750 კაცმა მოისმინა.

ლექციას, „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში", რომელიც ოქტომბრის რაიონში ჩატარდა, 1300 კაცი დაესწრო.

მოსკოვი, 7 დეკემბერი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) კრასნაია პრესნის რაიკომმა მასწავლებლებისათვის მოაწყო კონსულტაციები, თეორიული ლექციები და მოხსენებანი. უკანასკნელ ხანებში მასწავლებლებისათვის წაკითხულ იქნა ლექციები ვ. ი. ლენინის ნაშრომის შესახებ „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", აგრეთვე „დიალექტიკური მატერიალიზმი მარქსისტულ - ლენინური პარტიის მსოფლმხედველობაა" და სხვები.

კრასნაია პრესნის რაიკომმა გადასწყვიტა მოაწყოს მასწავლებლებისათვის რაიონული ლექტორიუმი.

* * *

ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოფენა მოწყობილია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" პირველი თავის განყოფილებათა შესაბამისად.

თბილისის 26 კომისრის რაიონის ინტელიგენციის კრება

სომხური სახელმწიფო დრამის თეატრში გაიხსნა 26 კომისრის რაიონის ინტელიგენციის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების გაცნობისადმი. კრებამ, რომელსაც ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა, დიდი ყურადღებით მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ".

მომხსენებელმა მრავალი მაგალითი მოიყვანა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ უგულებელყოფილი იყო საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის პოლიტიკური მომზადება, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე მისი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანა.

26 კომისრის რაიონის მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში (ფეხსაცმლის ფაბრიკა, პირველი საავადმყოფო, ორჯონიკიძის სახ. ქარხანა) ინტელიგენტები დამოუკიდებლად მეცადინეობის სურვილს გამოთქვამდნენ, მაგრამ მათ არ ეხმარებოდნენ სათანადოთ. გავრცელებული იყო ინტელიგენტების იძულებითი ჩაბმა სხვადასხვა წრეებში, ისე რომ ანგარიში არ ეწეოდა მათ მომზადებასა და სურვილს.

კამათში გამოსული ამხანაგები პროფ. ა. წულუკიძე, აბარიანი, სხირტლაძე, მაქსიმოვი, ინჟ. კოზმინა, დოც. გიგოლოვი, ტიკაძე, ინჟ. სანაძე და სხვ. მიესალმებოდნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ისტორიულ დადგენილებას და აღნიშნავდნენ მის უდიდეს მნიშვნელობას სოციალისტური სამშობლოს იდეური ცხოვრების შემდგომი აღმავლობისათვის.

საქალაქო და რაიონული პარტაქტივის კრებები

სტალინირი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

ამას წინათ ჩატარდა სტალინირის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, რომელსაც 270 კაცი დაესწრო. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვლ. ცხოვრებაშვილი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. ლ. გულიევი, გ. მედოევი, გ. ბინიაშვილი, ს. ჯიოევი, ი. გოგიჩავა, ნ. შავლოხოვი, ე. ცხოვრებოვი, დ. სანაკოევი, პ. ტიბილოვი, ვ. ხეთაგური და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად იწონებდნენ აღნიშნულ დადგენილებას, ამჟღავნებდნენ ნაკლოვანებებს პარტიული პროპაგანდის დარგში და შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საქალაქო აქტივის კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

ქ. ტრაპაიძე

ზესტაფონი

ამ დღეებში ზესტაფონის რკინიგზის მუშათა კლუბში ჩატარდა პარტაქტივის რაიონული კრება. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებაზე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" — მოხსენებით გამოვიდა ზესტაფონის პარტრაიკომის მდივანი ამხ. ვ. წვერავა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. გველესიანმა, ვ. ტყემალაძემ, გ. სამხარაძემ, მ. რაზმაძემ, კაკაბაძემ, დ. კობახიძემ, ა. სულაძემ და სხვებმა. სიტყვებით გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად იწონებდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებას. კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

ვ. გოგიაშვილი

წითელწყარო

4 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიონული აქტივის კრება, მიძღვნილი—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების განხილვისადმი. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ქურდაშვილმა. მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ პარტიული პროპაგანდის დაყენების დარგში არსებულ ნაკლოვანებებს.

კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

ა. ბურჭულაძე

წულუკიძე

ამ დღეებში ჩატარდა წულუკიძის რაიონის პარტიული აქტივის კრება. მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" წაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. დავითაიამ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 17 ამხანაგმა, რომელნიც ეხებოდნენ არსებულ ნაკლოვანებებს პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში. კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

ლ. ტაბიძე

ხაშური

3 დეკემბერს შესდგა ხაშურის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით" — განხილვას.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანი ამხ. ი. ლუდუშაური, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ხაშურის რაიონში. კამათში გამოვიდა 15 კომუნისტი.

აგარის შაქრის ქარხნისა და ხაშურის სავაგონო დეპოს პარტკომთა მდივნებმა ილაპარაკეს პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში არსებული დეფექტების შესახებ და მოიყვანეს იმის ფაქტები, რომ მისდევდნენ წრეების რაოდენობას და კომუნისტების მაქსიმალური რაოდენობის „ჩაბმას" საწრეო მუშაობაში.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს პარტკაბინეტთა სუსტი მუშაობა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს მისი განუხრელი განხორციელებისათვის. (საქდესი).

ცაგერი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

3 დეკემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიონული აქტივის კრება, მიძღვნილი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებისადმი — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ჭელიძემ. კამათში გამოვიდა 14 ამხანაგი.

პარტიული აქტივის კრებაზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. კ. შეროზია.

აქტივმა მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მისი განხორციელებისათვის.

გ. ყურაშვილი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ორდენოსანი პროფესორი კ. ს. ზავრიევი მუშაობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესასწავლად.

ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

კონსულტაცია

მატერიალიზმი და იდეალიზმი*)

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დიდი რევოლუციურ - პრაქტიკული მნიშვნელობის გაგება ადვილია, თუ გავარჩევთ თვითეულ მის შემადგენელ ნაწილს: დიალექტიკურ მეთოდს, მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, ისტორიულ მატერიალიზმს. ამ კონსულტაციაში განხილული იქნება მხოლოდ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი და მისი მნიშვნელობა რევოლუციური პრაქტიკისათვის.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" ხაზგასმით აღნიშნავს უდიდეს მნიშვნელობას ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებებისას, რომლებიც გავრცელებულია საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე, აგრეთვე გამოყენებულია პარტიის პრაქტიკული საქმიანობისათვის. აქ ღრმად არის ნაჩვენები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის რევოლუციური მნიშვნელობა.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გვიჩვენებს, რომ მარქსის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა საზოგადოების ისტორია გადააქცია ისეთივე ზუსტ მეცნიერებად, როგორიცაა, მაგალითად, ბიოლოგია. ფილოსოფიური მარქსისტული მატერიალიზმის თვალსაზრისით საზოგადოებრივი ცხოვრება აღარ გვეჩვენება „შემთხვევითობათა" გროვად, და ამიტომ პროლეტარიატის პარტია თავის მოღვაწეობაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა შემთხვევითი მოტივებით, არამედ საზოგადოებრივი განვითარების კანონებით. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მეოხებით „სოციალიზმი ოცნებიდან კაცობრიობის უკეთეს მომავალზე იქცევა მეცნიერებად" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 109).

ეს დასკვნები ემყარება მატერიალიზმის ანალიზს და იდეალისტური ფილოსოფიისათვის მატერიალიზმის დაპირისპირებას.

ფილოსოფიას, როგორც მეცნიერებას, მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. ორი ათას ხუთას წელზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ეპოქების ფილოსოფოსები, რომლებსაც თავისი დროის პრაქტიკული მოთხოვნილებები ამოძრავებდნენ, ცდილობდნენ გაეგოთ მათი გარემომცველი სამყარო, აღმოეჩინათ ბუნების კანონები. მაგრამ რა მრავალფეროვანიც არ იყვნენ შექმნილი ფილოსოფიური სისტემები, არცერთს მათგანს არ შეეძლო და არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ერთ საკითხს, სახელდობრ საკითხს ბუნებისადმი, ყოფიერებისადმი სულის, ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ.

რა არის პირველადი: სული, ადამიანის შეგრძნებები, იდეები, ცნობიერება თუ ბუნება, ყოფიერება, მატერია? ფილოსოფოსებს შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ისინი უგულვებელჰყოფენ ამ საკითხს, რომ ისინი ამ „ელემენტარულ" პრობლემაზე მაღლა დგანან. როგორც შემდეგ დავინახავთ, ასეთი ფილოსოფოსები ბევრნი იყვნენ და კიდევ არიან. მაგრამ სინამდვილეში ეს ფილოსოფოსები, როგორც დანარჩენებიც, ვერანაირად ვერ აუვლიდნენ ხოლმე გვერდს საკითხს ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების შესახებ. საკითხი იმის შესახებ, რა არის პირველადი — სული, ადამიანის შეგრძნებები თუ ბუნება, მატერია, — ეხება ყოველი მსოფლმხედველობის, ყოველი მეცნიერების **საფუძველთა საფუძველს**. არავითარი მსოფლმხედველობა, არავითარი მეცნიერება არ შეიძლება იყოს ამ საკითხის გადაჭრის გარეშე. ეს გადაჭრა შეიძლება იყოს შეგნებული ან შეუგნებელი, მაგრამ უამისოდ ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება შემეცნებაში.

ამ საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებულია შემეცნების, მსოფლმხედველობის მთელი მიმართულება. თუ გამოვალთ იქიდან, რომ იდეები, შეგრძნებები პირველადია, ხოლო ბუნება — მეორადი, ადამიანის იდეებზე დამოკიდებული, მაშინ ყველა დანარჩენი საკითხიც გადაიჭრება ამ მიმართულებით. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანი კი არ არის ბუნების ნაწილი, მისი უმაღლესი პროდუქტი, არამედ, პირიქით, ბუნება არის ადამიანის შემოქმედება. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ბუნებაში და საზოგადოებაში არ არის არავითარი ობიექტური, ესე-იგი ადამიანისაგან დამოუკიდებელი კანონზომიერება, რომ ყველაფერი დამყარებულია შემთხვევითობაზე, რომ ადამიანთა სურვილისა ან უსურვილობისაგან, გონებისა ან უვიცობისაგან დამოკიდებულია საზოგადოების ესა თუ ის მდგომარეობა.

და პირიქით. თუ გამოვალთ იქიდან, რომ ბუნება, მატერია პირველადია, ხოლო ცნობიერება, შეგრძნება არის მატერიის მხოლოდ უმაღლესი პროდუქტი, მაშინ ყველა დანარჩენი საკითხიც გადაიჭრება ამ მიმართულებით.

ამიტომ, რა დიდიც არ უნდა იყოს სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებისა და სკოლების რაოდენობა, ყველა ისინი იყოფიან ორ ძირითად ბანაკად. ისინი, ვინც სთვლიან, რომ სული ბუნებაზე ადრე არსებობდა, **იდეალიზმის** ბანაკს შეადგენენ. ისინი, ვინც სთვლიან, რომ ძირითად საწყისს წარმოადგენს ბუნება, მატერია, **მატერიალიზმის** ბანაკს შეადგენენ.

ფილოსოფიაში ამ ორ პარტიას შორის იყო და დღემდე არის ბევრი წვრილწვრილი ფილოსოფიური სკოლა, სისტემა, მაგრამ ყველა ისინი ფარავენ იდეალიზმს, ან მორცხვად აპარებენ მატერიალიზმს.

1908 წელს, 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ჩვენში, რუსეთში, გამოჩნდნენ ისეთი ფილოსოფოსები, რომლებიც სთვლიდნენ, რომ ვითომ ისინი მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგანან, რომ ისინი სძლევენ ამ ორი ძირითადი მიმდინარეობის „ცალმხრივობას". ესენი არიან ეგრეთწოდებული მახისტები (ავსტრიელი ფილოსოფოსის მახის მომხრენი), რომლებიც მარქსიზმისადმი ერთგულების ყალბი დროშის ქვეშ აპარებდნენ წმინდაწყლის იდეალიზმს, ამასთან მის ყველაზე რეაქციულ ფორმებში.

ლენინმა თავის გენიალურ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ამხილა მახისტები, გვიჩვენა, რომ ისინი „ყველაზე უახლესი" ფილოსოფიური სისტემის ბაირაღით სინამდვილეში აღორძინებენ ინგლისელ ეპისკოპოს ბერკლის სუბიექტურ იდეალისტურ ფილოსოფიას, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში ქადაგებდა „თეორიას", ვითომ რეალურად არსებობს მხოლოდ მგრძნობიარე ადამიანი, ხოლო ყველა დანარჩენი არის მხოლოდ „შეგრძნებათა კომპლექსი", ადამიანის „მეს" შემოქმედება.

მახისტები, როგორც ეშმაკი საკმეველს, გაურბოდნენ ფილოსოფიის ძირითად საკითხს — ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების შესახებ. ლენინი კი გვიჩვენებდა, რომ მახისტების ყველა მანჭვასა და ფანდებს იქით იფარებოდა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იდეალისტურად გადაჭრა.

ფილოსოფიის უმაღლეს საკითხში არის კიდევ სხვა, მეტისმეტად მნიშვნელოვანი მხარე: სარწმუნოა თუ არა ჩვენი ცნობიერება, შეუძლია თუ არა ადამიანის ცნობიერებას სწორად ასახოს სინამდვილე, შეუძლია თუ არა ცოდნას ჰქონდეს ობიექტურ, ესე-იგი ბუნების სწორად ამსახველ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა?

იდეალისტები უარჰყოფენ, სადავოდ ხდიან ცნობიერების სარწმუნობას, სთვლიან, რომ ცნობიერების გზით მოპოვებული ჭეშმარიტებანი სუბიექტურია. ზოგიერთი იდეალისტური სკოლები, გამომდინარეობენ რა იქიდან, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ სუბიექტი და რომ მთელი სამყარო არის ამ სუბიექტის შეგრძნებათა პროდუქტი, უარჰყოფენ ცოდნის სარწმუნობას, არ სცნობენ ობიექტურ ჭეშმარიტებებს. მათი თვალსაზრისით ადამიანთა ყოველგვარი წარმოდგენა არის ჭეშმარიტება, თუ სუბიექტი შეიგრძნობს ან ფიქრობს რომ არსებობენ ტყისკაცები და ალქაჯები, ეს წარმოდგენა სწორეა, იმიტომ რომ რეალურია მხოლოდ შეგრძნებანი. მაშასადამე, მათი თვალსაზრისით, ჭეშმარიტება ყოველთვის სუბიექტურია, ასეთია ბერკლის, რუსი მახისტების ბოგდანოვის, ბაზაროვის და სხვების „ფილოსოფია".

სხვა იდეალისტური სკოლები აღიარებენ ობიექტური ნივთების, როგორც ისინი ლაპარაკობენ, „ნივთების თავისთავად" არსებობას. მაგრამ ისინი კატეგორიულად არ სცნობენ ამ ნივთების შესახებ რაიმეს გაგების შესაძლებლობას. საგნები არსებობენ მხოლოდ „თავისთავად", ესე-იგი მათ შესახებ არ შეიძლება რამე ვიცოდეთ და ისინი არ შეიძლება გახდნენ ნივთები ჩვენთვის. ისინი შეუცნობელი არიან. ასეთია ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის ფილოსოფია.

ნივთების შეცნობის საკითხზე სულ სხვა პასუხს იძლევა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი.

თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლენინმა მოგვცა ჩვენი ცოდნის სარწმუნობის იდეალისტური უარყოფის გაშლილი კრიტიკა.

დიალექტიკური მატერიალისტის განსხვავებას იდეალისტისაგან, რომელიც სადავოდ ხდის ადამიანის გონების უნარს შეიცნოს თვით ნივთების არსი, ლენინი ხედავდა იმაში, რომ მატერიალისტი იდეალისტის საწინააღმდეგოდ ობიექტურ რეალობას, ესე-იგი სამყაროს, აღიარებს ჩვენი შეგრძნებების წყაროდ, ხოლო ცნობიერებას, შეგრძნებას — ამ ობიექტური რეალობის სწორ ასახვად.

ჩვენი შემეცნება შეგრძნებებიდან იწყება. მაგრამ შეგრძნებები თავისთავად არ ჩნდებიან. ისინი არიან შედეგი გარეგანი, ობიექტურად არსებული სამყაროს ზემოქმედებისა ადამიანის გრძნობათა ორგანოებზე. ამიტომ შეგრძნებები და ცნებები, თუ ისინი სწორი არიან, თუ ისინი შემოწმებული არიან პრაქტიკით, იძლევიან სინამდვილის, თვით ნივთების სწორ ასახვას. „საგნებს თავისთავად" და „საგნებს ჩვენთვის" შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველები ჯერ არ არიან შეცნობილნი, ხოლო მეორენი უკვე შეცნობილნი არიან. შემეცნების პროცესში „ნივთები თავისთავად" გადაიქცევიან „ნივთებად ჩვენთვის", ე. ი. შეუცნობელი ნივთები შეცნობილნი ხდებიან.

იდეალისტები ფიქრობენ, რომ აყენებენ გადაუჭრელ ამოცანას, როდესაც ეკითხებიან: რა საფუძველზე აღიარებენ მატერიალისტები, რომ შეგრძნებები და ცნებანი ასახავენ გარეშე სამყაროს? ადამიანს ხომ აქვს ერთი შეგრძნებები, ერთი აღქმები, რომლებიც სუბიექტური არიან. მაშ როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მათ ობიექტური ჭეშმარიტების ხასიათი აქვთ?

ყველა ამ საკითხებს მატერიალისტი უპასუხებს: ჩვენი შეგრძნებების და ცნებების ჭეშმარიტობის შესამოწმებლად სასინჯ ქვას წარმოადგენს პრაქტიკა, კაცობრიობის პრაქტიკული საქმიანობა. პრაქტიკით, პრაქტიკული საქმიანობით ჩვენ ვამოწმებთ, სწორად თუ არასწორად ასახავს ჩვენი ცოდნა ნივთების თვისებებს.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" მოყვანილია ციტატი ენგელსის „ლუდვიგ ფეიერბახიდან", სადაც ის ამბობს, რომ იდეალისტების ყველაზე გადამწყვეტი უარყოფა მდგომარეობს პრაქტიკაში, ექსპერიმენტში და მრეწველობაში.

მოვიყვანოთ კიდევ ენგელსის სიტყვები მისი სტატიიდან „ისტორიული მატერიალიზმის შესახებ":

„იმ მომენტში,—სწერდა ენგელსი,—როდესაც რომელიმე ნივთის ჩვენს მიერ აღქმულ თვისებათა შესაბამისად ჩვენ ვხმარობთ მას ჩვენთვის,—სწორედ ამ მომენტში ჩვენ უშეცდომოდ ვცდით ჩვენი გრძნობითი აღქმის ჭეშმარიტობას ან მცდარობას. თუ ეს აღქმები შემცდარი იყო, მაშინ ჩვენი მსჯელობაც ამ ნივთის საჭიროებისამებრ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ შემცდარი იქნება, და ასეთი გამოყენების ყოველივე ცდას გარდუვალად მარცხი მოჰყვება. მაგრამ თუ ჩვენ ჩვენს მიზანს მივაღწევთ, თუ ჩვენ ვნახავთ, რომ ნივთი შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას მასზე, რომ იგი იძლევა იმ შედეგს, როგორსაც ჩვენ მოველოდით მისი ხმარებისაგან, მაშინ ჩვენ გვაქვს დადებითი დადასტურება იმისა, რომ **ამ საზღვრებში** ჩვენი აღქმები საგნისა და მისი თვისებების შესახებ თანხვდებიან ჩვენს გარეშე არსებულ სინამდვილეს". (კ. მარქსი. რჩეული ნაწარმოებები, ტომი I, გვ. 304. სახპოლიტგამომცემლობა. 1938).

ამ სიტყვების დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ერთი მაგალითი.

მრავალი წლის განმავლობაში მარქსიზმის მოძღვრება კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალიზმის გამარჯვების გარდუვალობის შესახებ, რომლამდეც მარქსი და ენგელსი საზოგადოების განვითარების კანონების შესწავლის შედეგად მივიდნენ, თეორიულ ვარაუდად რჩებოდა. ბევრი მსურველი იყო ემტკიცებინა, რომ ეს თეორია განუხორციელებელია, რომ იგი სინამდვილეს არ შეეფერება. მაგრამ რუსმა მუშებმა და გლეხებმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს რა კაპიტალიზმი, მოსპეს რა სიღატაკისა და ჩაგვრის წყობილება, პრაქტიკულად განახორციელეს და ახორციელებენ რა მარქსიზმის დიად იდეალებს, საქმით დაამტკიცეს მეცნიერული კომუნიზმის თეორიის სისწორე. ახლა მხოლოდ პროლეტარიატის უბოროტესმა მტრებმა შეიძლება უარჰყონ, რომ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალიზმის შესახებ აქვს ობიექტური, ნამდვილი ჭეშმარიტების მნიშვნელობა.

მაშასადამე, ფილოსოფიის უმაღლეს საკითხს—საკითხს ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების შესახებ და სამყაროს შეცნობადობის შესახებ—მატერიალისტები და იდეალისტები სულ საწინააღმდეგოდ სწყვეტენ. ეს ორი შეურიგებელი ბანაკია, რომლებიც მთელი ისტორიის მანძილზე აწარმოებდნენ და დღესაც აწარმოებენ ურთიერთშორის გამძაფრებულ ბრძოლას.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს იყო და არის „წმინდა" აზროვნების ბრძოლა, ბრძოლა რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საზოგადოებასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ძირითად პრობლემებთან. სინამდვილეში მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ბრძოლა ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება. ორი ფილოსოფიური ბანაკის ზურგს უკან გამოდიან მოწინააღმდეგე კლასები, რომლებიც ერთმანეთს შორის აწარმოებენ ბრძოლას ეკონომიკისა და პოლიტიკის უაღრესად ძირითად საკითხებზე.

მ. როზენტალი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

*) ეს სტატია მთლიანად დაბეჭდილია ჟურნალ „ბოლშევიკში", № 21.

ქ. ბარიბიანი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელ პარტორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე.

გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა და ხელმძღვანელობა

„ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით ზოგიერთ ღონისძიებათა გატარების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 22 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა ამ დღეებში მოისმინა ანგარიში საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომისა, რომლის მუშაობა ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებისა და ანგარიშების დროს რაიონული პარტიული კონფერენციის მიერ ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად. ცენტრალური კომიტეტის შემოწმებით გამოირკვა, რომ, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, რაიონული პარტორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. რაიკომმა ვერ უზრუნველჰყო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებისა და რაიონული პარტიული კონფერენციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა სრული რეალიზაცია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისა და საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის საქმეში.

რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული პარტიული მუშაობა (სუფსისა და მამათის ჩაის ფაბრიკის, ნიგოითის ტერიტორიული, შრომის უბნის, მამათის და მაჩხვარეთის საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციებში).

ზოგან იმდენად მიივიწყეს პარტიული მუშაობა, რომ მთელი სამი თვის განმავლობაში პარტიული კრება არ ყოფილა მოწვეული (სუფსის ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაცია), პარტიულ კრებებს იწვევენ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, ხოლო პარტიული კრების წინასწარ მომზადებას, როგორც ვიცით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ამის შესახებ არსებობს როგორც საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, ისე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მთელი რიგი მითითებები, რომლებშიაც ის აზრია გატარებული, რომ პარტიული კრების მომზადებულად ჩატარებამ უნდა უზრუნველჰყოს კომუნისტების აქტივობის შემდგომი ზრდა და პირველადი პარტორგანიზაციის წინაშე მდგომი საკითხების კონკრეტულად და შინაარსიანად გადაწყვეტა. პარტიული კრებების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში ჯერ არ ხდება (ნიგვზიანის ჩაის ფაბრიკის, ტაბანათის, ხიდმაღალას, ჯურუყვეთის, ქვემოშუხუთის, ეწერის და ჰანჭათის საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციებში).

ლანჩხუთის რაიონის ცალკე პარტორგანიზაციებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პარტიაში ახალ წევრთა მიღება. მაგალითად, სოფელ მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა საკმაო დიდი კოლმეურნეობაა; მასში გაერთიანებულია 320 კომლი; კოლმეურნეობაში 88 სტახანოველია, ბევრია დამკვრელი კოლმეურნეებიც, კომკავშირის ორგანიზაციაში 21 ახალგაზრდა ითვლება; მაგრამ პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე პარტიის რიგებში მხოლოდ 4 კაცი მიიღეს. პირველადს პარტორგანიზაციაში სულ 5 თანამგრძნობია, აქედან 1938 წლის განმავლობაში მიღებულია მხოლოდ ორი ამხანაგი. ამავე სოფელში არსებული ჩაის ფაბრიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წელს პარტიაში მიიღო მხოლოდ ორი ამხანაგი, თანამგრძნობთა ჯგუფში კი—ერთი; ნიგოითის ტერიტორიულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო **ორი**, ხოლო თანამგრძნობთა ჯგუფი აქ ჯერაც არ არსებობს. უეჭველია, ეს გარემოება პირველადი პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობით აიხსნება. ჩვენს კოლმეურნეობებში საკმაო რაოდენობით არიან მოწინავე ადამიანები, სტახანოველები და დამკვრელები, რომელთაც ლენინ-სტალინის პარტიის საქმე თავის საკუთარ საქმედ მიაჩნიათ. მხოლოდ საჭიროა მათთვის დახმარების გაწევა, მათთან პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება. ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებენ ლანჩხუთის რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები.

რაიონის 29 პირველადს პარტორგანიზაციაში თანამგრძნობთა ჯგუფები ჯერაც არ არსებობს. ეს აიხსნება არა მარტო პირველადი პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობით, არამედ რაიკომის სუსტი ხელმძღვანელობითაც. სუსტია რაიკომის კავშირი პირველადს პარტორგანიზაციებთან. მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში 3-4 თვის განმავლობაში არ ყოფილან რაიკომის ინსტრუქტორები, ხოლო „რაიკომებისა და ქალაქკომების ინსტრუქტორთა ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ - პოლიტიკური მუშაობის ჯეროვნად დაყენება პირველადს პარტორგანიზაციებში, ინსტრუქტორის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს პარტიის წევრი, მისი იდეური შეიარაღება და მისი ავანგარდული როლის ამაღლება წარმოებაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ინსტრუქტორი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს ისეთ საკითხებს, როგორიც არის პარტიული ორგანიზაციის ზრდა, კომუნისტთა აღრიცხვის დაყენება, პარტიულ სასჯელთა დადების პრაქტიკა, უნდა უზრუნველჰყოფდეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღებით, გულისხმიერად მოპყრობას პარტიის ყოველ ცალკეულ წევრთან. ინსტრუქტორი უნდა იცნობდეს თავის მომსახურებაში მყოფი საწარმოების არა მარტო პარტიულ, არამედ უპარტიო აქტივსაც, მონაწილეობას იღებდეს კადრების შერჩევაში, განაწილებასა და დაწინაურებაში, მუშაობდეს მუშაკთა რეზერვის შექმნისათვის".

აქედან ცხადია, რომ თუ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში სამი-ოთხი თვის განმავლობაში არ მივა რაიკომის ინსტრუქტორი, იქ მუშაობა აუცილებლად ჩამორჩება. ამას ადასტურებს სწორედ ის ფაქტი, რომ რაიონის ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში სუსტად არის დაყენებული კანდიდატებთან მუშაობა. კომუნისტებს არ ეძლევათ პარტიული დავალებები, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არა დგას კომუნისტების ავანგარდული როლი; პირიქით, ზოგიერთი კომუნისტი ცუდ მაგალითსაც იძლევა (მაგალითად, ჰანჭათის კოლმეურნეობაში).

ლანჩხუთის რაიკომმა საკმაო ზომები არ მიიღო „ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა არჩევნებთან დაკავშირებით ზოგიერთ ღონისძიებათა გატარების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 22 აგვისტოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 13 სექტემბრის დადგენილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ დადგენილებათა შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას უნდა მოეხდინა შემოწმება, როგორ მიმდინარეობს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით პარტიულ კონფერენციებზე და პარტიულ კრებებზე კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა განხორციელება. ამიტომ რაიკომს, ერთის მხრივ, თვითონ უნდა დაესახა კონკრეტული ღონისძიებები რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა განხორციელებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, დახმარება აღმოეჩინა პირველადი პარტორგანიზაციისათვის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა განხორციელების საქმეში. მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემოწმებით გამოირკვა, რომ ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ დაგვიანებით განიხილა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ზემოაღნიშნული დადგენილებანი. რაიკომმა მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში დროულად ვერ უზრუნველჰყო საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ შემოტანილ წინადადებათა განხორციელების შემოწმება. უფრო მეტიც, ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში სრულიად დაკარგეს კომუნისტების მიერ შემოტანილი წინადადებები (ლაშისღელისა და აცანის საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში).

პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად ლანჩხუთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, უპირველეს ყოვლისა შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საქმეში; გარდა ამისა უხეშად დარღვეულია სტალინური საკოლმეურნეო წესდების ზოგიერთი მუხლები. მაგალითად, მამათის კოლმეურნეობაში 1938 წლის 1 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში ჩაწერილი არ ყოფილა მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეები, ზუსტად არ ტარდება ყველა აგროტექნიკური ღონისძიებები ჩაის დამუშავების დარგში, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევას. სწორედ ამ მიზეზების გამო მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1938 წლის გეგმა, ხოლო, როგორც ვიცით, ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავალში ჩაის უკანასკნელი ადგილი როდი უკავია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ თავის დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა ლანჩხუთის რაიაღმასკომის სუსტი მუშაობა. რაიაღმასკომს 19 სასოფლო საბჭოდან 1938 წლის განმავლობაში არცერთის მოხსენება არ მოუსმენია მათი მუშაობის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ საკითხებს სასოფლო საბჭოების მიხედვით. ზოგიერთ საბჭოში სრულიად მივიწყებულია მასობრივი მუშაობა, კერძოდ სექციების მუშაობა. ასევე ჩამორჩენილია სადეპუტატო ჯგუფების მუშაობაც. ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკებს, როგორც სჩანს, დაავიწყდათ, რომ საბჭოების მეშვეობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ადგილობრივი და რაიონული საბჭოების სამუშაო პროგრამას წარმოადგენს მშრომელთა საარჩევნო კრებების მიერ მოცემული ნაკაზი, მაგრამ ლანჩხუთის რაიონული საბჭოსადმი მიცემული ნაკაზი დაკარგული აღმოჩნდა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ რაიონული აღმასკომი ცუდად ხელმძღვანელობს განათლების საქმეს, კერძოდ კი სკოლების მუშაობას; სკოლების დიდი უმრავლესობა ჯერაც არაა მომარაგებული შეშით, აკლიათ სასკოლო ინვენტარი. რაიონში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია როგორც სამეურნეო, ისე კოოპერატიული ორგანიზაციების ხაზით; გაფლანგვებისა და საგრძნობი ზარალის გამო კოოპერატივებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მუშაობის გარდაქმნას იმ მიმართულებით, რომ უზრუნველჰყონ მოსახლეობა პირველი მოთხოვნილების საქონლის დროულად მიწოდებით.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა, განიხილა რა ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის ანგარიში, მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და დახმარების გასაწევად.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა რაიონის პარტიულ ორგანიზაციის ამოცანად დაუსახა ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცება, თვალისამხვევობის ელემენტების აღმოფხვრა, მავნებლობის შედეგთა ბოლომდე ლიკვიდაცია, კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება და რევოლუციური სიფხიზლის შემდგომი ამაღლება, რათა ბოლომდე ვამხილოთ და გავანადგუროთ ხალხის მტერთა ნაბოლარები.

ლანჩხუთის რაიონის ბოლშევიკებმა რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზით ლანჩხუთის რაიონი ორდენოსან საქართველოს მოწინავე რაიონთა რიგებში უნდა ჩააყენონ.

იზრდება ქუთაისი—საქართველოს ინდუსტრიის მეორე კერა

წულუკიძე
1876—1905

ქუთაისი.—ს. წულუკიძის ძეგლი. გაიხსნა ოქტომბრის რევოლუციის XXI წლისთავზე.
ფოტო ჰ. ლუცენკოსი

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი

„მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო“ — შენი ახალი თეატრის სანახავად მოვედით.

შევდივართ ფაქიზად მოვლილ, გემოვნებით გაწყობილ თეატრში და გვაგონდება ქართველი ხალხის მესალამურე დიდი მგოსანი—აქ რომ რეჟისორობდა, ამ სცენიდან რომ ხალხს ამხნევებდა:

„მაგრამ, ჩემო ქუთაისო,
შენაკავშირო-შენათვისო!..
სევდით გული არ აივსო“.

რამდენი თაობის ოცნება ხორციელდება! როგორ არ მოგაგონდება ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, 1861 წელს ქუთაისში „ქართულ სცენისათვის შესაფერ ბალაგანის“ აგებაზე რომ ოცნებობდა; როგორ არ მოგაგონდება გიორგი ერისთავის დასის აქტიორი ა. მეიფარიანი, ქუთაისის კლუბში სასცენოდ გაწყობილ ფიცრებზე რომ კისერს იტეხდა და დანანებით ამბობდა თურმე: „აფსუს, თამამშევის თეატრო“. დაუმაგრებელ ფიცრებზე დაიწყო თამაში ეფრო კლდიაშვილმა, მთელი ქუთაისი რომ მოხიბლა და მერმე თბილისში რომ გაიწვიეს...

ამ თეატრსა და მის სცენას ახსოვს კოტე მესხი. მან ჩაუყარა მტკიცე საძირკველი ქუთაისის პროფესიულ თეატრს. აქ დიდხანს უძღოდა სასცენო საქმეს ლადო მესხიშვილი — მშობლიური სცენის უშიშარი რაინდი, სწორუპოვარი აქტიორი და სახელოვანი მოქალაქე.

1905 წელს ქუთაისის თეატრი რევოლუციის მხარეზე დადგა. მსახიობებმა დეკორაციები გარეთ გაიტანეს და ქუჩა ჩახერგეს, ბარიკადებზე ჭაღარა ლადო მესხიშვილის ლამაზი თავი სჩანდა... როდესაც ქუთაისში იმპერატორის მოსვლას მოელოდნენ, ჟანდარმერიამ ქუთაისის თეატრის მთელი დასი ქალაქიდან ფოთში გააძევა. სდევნიდნენ, აწამებდნენ, სიდუხჭირეში ამყოფებდნენ, მაგრამ თეატრი მაინც ცოცხლობდა.

ახლა კი ქუთაისის სახელმწიფო თეატრი ნახევარ მილიონს მხოლოდ სახელმწიფო დოტაციას იღებს. გაგონდება, რომ მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წ. 7 ათასი მანეთიც არ გაიმეტა თეატრის დეფიციტის დასაფარავად და თეატრის არსებობაც საქველმოქმედოდ, საალალბედოდ იყო დატოვებული. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე წარმატებების შედეგად აყვავდა ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურა. ათი წლის წინათ ქუთაისში შეიქმნა ისეთი თეატრი, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირის ყურადღება მიიპყრო. ქუთაისის სცენიდან გაითქვა სახელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, ქუთაისის თეატრში ჰქმნიდა თმაშევერცხლილი მარჯანიშვილი „ურიელ აკოსტას“, „ჰოპლას“, „ყვარყვარე თუთაბერს“, „რიგორს“.

ხალხის საზიზღარმა მტრებმა ის მავნებლობაც გასწიეს, რომ 4 წლით ქუთაისის თეატრს კარები გამოუკეტეს. ლენინ-სტალინის დიადი პარტია, მშრომელი ხალხი, გაანადგურეს რა პირსისხლიანი ფაშიზმის საზიზღარი აგენტები, ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალები, ენერგიულად შეუდგნენ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას.

დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის ამხ. **ლ. ბერიას** მზრუნველობითა და ინიციატივით ქუთაისის თეატრში გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა.

თეატრს ხელმძღვანელობს რესპ. დამს. არტისტი **დოდო ანთაძე** — მარჯანიშვილის სკოლის რეჟისორი, სახელმოხვეჭილ სპექტაკლების დამდგმელი, თეატრის საქმის კარგი მცოდნე და ნაცადი ორგანიზატორი. ამ თეატრში აგრძელებს თავის ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას აქტიორებთან პედაგოგიური მუშაობით თავგამოჩენილი რეჟისორი გ. სულიაშვილი. აქ თანამშრომლობს დეკორატიული ხელოვნების საუკეთესო ოსტატი პროფ. დ. კაკაბაძე. თეატრის მთავარი მხატვარი კორნელი სანაძე პირველი სპექტაკლების გაფორმებიდანვე ამართლებს თეატრის ხელმძღვანელობის ნდობას და დაოსტატების იმედს იძლევა. სპექტაკლების მუსიკალური გაფორმება დაკისრებული აქვს მარჯანიშვილთან მუშაობაში დახელოვნებულ კომპოზიტორს თამარ ვახვახიშვილს.

ქუთაისის თეატრის დასი თავისი შემოქმედებითი ძალებით მდიდარია და ძლიერი. აქ მუშაობენ ქართული მეტყველების შესანიშნავი ოსტატი, ტრაგიკული რეპერტუარით სახელმოხვეჭილი მსახიობი სახალხო არტისტი ალ. იმედაშვილი, დამს. არტისტი იუზა ზარდალიშვილი — ლადო მესხიშვილის აქტიორული სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი, ქართული სცენის ცნობილი მსახიობები ც. ამირაჯიბი, ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ვ. ჩხიკვაძე, ნ. წინამძღვარი. ახალი თაობის აქტიორთაგან ქუთაისის დასში მუშაობენ: თ. ღვინიაშვილი,

დ. ანთაძე
რესპ. დამს. არტისტი, ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელი.

★

ქ. აბესაძე, მ. სვანიძე, ს. ვაჩნაძე, თ. კიკნაძე, ვ. მეგრელიშვილი, გ. ნაცვლიშვილი, ვ. გვენცაძე, ი. ხვიჩია, ა. გაბუნია, თ. ტატიშვილი, შ. ქარციძე, ლ. შენგელია, ალ. ჭავჭანიძე და სხვ. თეატრში ახალგაზრდებისათვის სტუდიური მუშაობა იწყება. კარგია, რომ თეატრი თავის კადრებზე აქედანვე ზრუნავს.

თეატრის მუშაობის წარმმართველი მისი რეპერტუარია, და უნდა ითქვას, რომ პირველივე სეზონის რეპერტუარი ქუთაისის თეატრს მარჯვედ და აზრიანად აქვს გამართული.

ქუთაისის თეატრი იჩენს მისასალმებელ ინიციატივას და პირველად ქართულ სცენაზე სდგამს მაქსიმ გორკის „მტრებს“. თეატრი ამზადებს და უახლოეს ხანში დასდგამს შექსპირის „ოტელოს“. განზრახვა აქვთ აქედანვე შეუდგნენ „მეფე ლირის“ მზადებას. მუშაობა ისეთი ინტენსივობით მიმდინარეობს, რომ ეტყობა, სარეპერტუარო გეგმა (8 ახალი დადგმა) განხორციელდება. ჩვენ უკვე ვნახეთ ორი პრემიერა („ლადო კეცხოველი“ და „გმირთა თაობა“) და დავესწარით „კოლმეურნის ქორწინების“, „მტრებისა“ და „ოტელოს“ რეპეტიციებს.

ქუთაისის მაყურებელთა ცხოველ ინტერესს იწვევს სპექტაკლი „ლადო კეცხოველი“ (დადგმა რესპ. დამს. არტ. დ. ანთაძისა). სპექტაკლი ამჟღავნებს ახალგაზრდა აქტიორული ძალების ნიჭსა და შესაძლებლობას (ვ. მეგრელიშვილი, ლ. შენგელია, ბ. კოკელაძე, ვ. გვენცაძე) გვახარებს ი. ზარდალიშვილის (გაბო ნიბლიაშვილი) და შ. ხონელის (ვანუა) ოსტატობა, გვაკმაყოფილებს ა. მურუსიძის, ვ. ჩხიკვაძის, თ. ღვინიაშვილის, ნ. წინამძღვარის, ქ. აბესაძის, ს. ვაჩნაძის, თ. ტატიშვილის კეთილსინდისიერი ანსამბლური შესრულება. შესანიშნავია სპექტაკლის ფინალი, როდესაც ვერაგი მტრების ტყვიით განგმირული რევოლუციის უშიშარი რაინდის ლადო კეცხოველის ხელი-ღა სჩანს რკინის ფანჯარაზე, როდესაც ციხის ყველა საკანიდან და კარცერიდან მოისმის შეუდრეკელ მებრძოლთა ამაღლევებელი ძახილი და ავანსცენაზე გამოჩნდება ვაჟკაცი მუშა — მაღალი და მხარბეჭგანიერი, რომელსაც ხელთ უპყრია დიადი წითელი დროშა და სცენის სიგრძეზე გავლით მთელ სპექტაკლს გადაფარავს. დროშაზე ანათებს ბელადების ლენინისა და სტალინის სილუეტები. ეს ფინალი რეჟისორული გამომგონებლობის, ძიებისა და მიგნების მაჩვენებელია და გვაიმედებს, რომ ქუთაისის თეატრი კვლავაც გაგვახარებს მარჯანიშვილისებური ფანტაზიის ფრთაგაშლილობით, შემოქმედებითი სიცხოველით და სიახლით.

ხედავ „გმირთა თაობას“ და კიდევ ერთხელ რწმუნდები, თუ რა ძვირფასი შენაძენია სცენისათვის ს. კლდიაშვილის პიესა. სპექტაკლის დამდგმელს გ. სულიაშვილს სიმართლის დამაჯერებლად გადმოცემის გზით წარუმართავს შემსრულებელთა შემოქმედებითი მუშაობა და ნაყოფიც ჩინებულია.

ქუთაისის მაყურებელს უკვე სჯერა თავისი თეატრის, ამაყობს მით, და ამიტომაც არის, რომ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევისას აღტაცებული ტაშით, შემდგომი წარმატებისათვის აქეზებს მათ, ვინც ენერგიული შემოქმედებითი მუშაობით საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის— ქუთაისის სახელმწიფო თეატრი ღირსეული სპექტაკლებით უნდა გაამდიდრონ.

დ. ჯანელიძე

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი.—ს. კლდიაშვილის პიესის „გმირთა თაობის“ შემსრულებლები (მარცხნიდან მარჯვნივ): თედო—მსახ. ვ. მეგრელიშვილი, ელენე —თ. ღვინიაშვილი, სიმონ—ბ. კოკელაძე, დიმიტრი—მ. სვანიძე.

საშა წულუკიძის სახლი

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, უდრეკი რევოლუციონერის საშა წულუკიძის ძეგლი და მისი რესტავრირებული სახლი.

საშა წულუკიძის უზარმაზარი ძეგლი აღმართულია მისივე სახელობის ლამაზად მოწყობილი ბაღის შუაგულში, იმ სასკოლო შენობის გვერდით, სადაც სწავლობდა ახალგაზრდა საშა. ძეგლის სიმაღლე 6 მეტრს უდრის. კვარცხლბეკი ნაგებია ეკლარის ქვით, ქანდაკება კი, რომელიც სამი მეტრის სიმაღლისაა —ჩამოსხმულია რკინა-ბეტონისაგან და გარედან დაფარულია ბრინჯაოთი.

წულუკიძის ქუჩაზე მდებარეობს ერთსართულიანი სახლი პატარა ეზოთი. აი ამ სახლში ცხოვრობდა და მუშაობდა საშა წულუკიძე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა, ენერგია და სიცოცხლეც მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის საქმეს შესწირა.

სახლი სავსებით რესტავრირებულია. ის შესდგება 6 ოთახისაგან. პირველ ოთახში ეწყობა საშას სამუშაო კაბინეტი. ამ ოთახში უკვე არის მისი ძველი მაგიდა და სამელნე. ეს ოთახი სულ მოკლე ხანში მორთული იქნება ისე, როგორც საშას სიცოცხლეში იყო.

ორი ოთახი განკუთვნილია სპეციალურად მუზეუმისათვის. აქ გამოფენილი იქნება ფოტორეპროდუქციები და დოკუმენტები ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობიდან, კერძოდ წულუკიძის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. აქვე იქნება გამოფენილი მისი საკუთარი ბიბლიოთეკა, ის წიგნები, რომლებზედაც მუშაობდა ს. წულუკიძე.

ერთი ოთახი დაეთმობა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ერთი იქნება საკონსულტაციო, ხოლო მეექვსე ოთახი—დასასვენებელი.

მუშაობა დაკვრითი წესით მიმდინარეობს და მოკლე ხანში სახლი ყოველმხრივ მოწყობილი იქნება.

წულუკიძის სახლს ეყოლება მეთოდისტი და ბიბლიოთეკარი, თვით სახლი კი ქუთაისის პარტგანათლების სახლის ფილიალი იქნება.

ეგ. გვასალია



ქუთაისი.—ახალი სასტუმროს მშენებლობა.
ფოტო ჰ. ლუცენკოსი

ქუთაისის ინდუსტრია

ქუთაისი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრია. ეს ლიტონი სიტყვები როდია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აგებულ საწარმოთა უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადჰყოფს, თუ რაოდენ გაიზარდა ქუთაისის მრეწველობა.

რევოლუციამდელ ქუთაისში მხოლოდ რამდენიმე კუსტარული საწარმო იყო. 1912 წელს ქუთაისის საწარმოებმა გამოუშვეს 289.800 მანეთის პროდუქცია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქუთაისს შეემატა მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის კომბინატი, სადაც 2.200 კაცი მუშაობს, საკონსერვო ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, რიონჰესი, ბარიტის და გუმბრინის საწარმოები, ფეხსაცმლის ფაბრიკა, შუშის, კირის, მინერალური სალებავებისა და რკინის საწოლების ქარხანა, შენდება ლიტოპონის დიდი ქარხანა, რომელიც 1939 წელს ამუშავდება და წლიურად 10 მილ. მანეთის პროდუქციას მოგვცემს.

ამჟამად ქუთაისის რაიონში რესპუბლიკური მნიშვნელობის 11, ადგილობრივი მნიშვნელობის 9 და 27-მდე წვრილი საწარმოა. ეს საწარმოები შეიარაღებული არიან მოწინავე ტექნიკით. რაიონის მიწისწყალი მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით. მიწის წიაღიდან ამოაქვთ გუმბრინი და ბარიტი. წელს ქუთაისი ნავთის საწარმოებს მისცემს 88.000 ტონა გუმბრინს და 40.000 ტონა პირველხარისხოვან ბარიტს.

ქუთაისის მრეწველობა ყოველწლიურად იზრდება. 1928-29 წელს ქუთაისის რაიონის საწარმოებმა გამოუშვეს 5.169.200 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1937 წელს—75.133.200 მანეთისა. მიმდინარე წლის განვლილი ცხრა თვის მანძილზე მარტო მსხვილმა მრეწველობამ გამოუშვა 35.113.100 მანეთის პროდუქცია.

ქუთაისის რაიონის საწარმოებში 30.000-მდე მუშა ითვლება.

სკოლები და მოსწავლეები

ძველ ქუთაისში ხუთიოდე გიმნაზია და რამდენიმე დაბალი სასწავლებელი იყო. გიმნაზია თავადაზნაურთა და შეძლებულთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი, დემოკრატია კი ეგრეთწოდებულ „საქალაქო სასწავლებლით“ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ძველად ხშირად უყვარდათ თქმა: „ქუთაისი მოწაფეთა ქალაქიაო“. ეს სახელი მას უსამართლოდ ჰქონდა მიკუთვნებული. არცთუ იმდენი იყო მოწაფეთა რიცხვი ქუთაისში. სულ სხვაა ახლა, როდესაც ქალაქში 24 სრული საშუალო სკოლა და მრავალი სხვა ტიპის სასწავლებელი არსებობს. ქუთაისის სკოლებში ამჟამად 11.166 მოწაფე სწავლობს, სულ კი რაიონში 25.394 მოსწავლეა.

გაიზარდა მასწავლებელთა რიცხვიც. ქუთაისის რაიონის სკოლებს ამჟამად 923 მასწავლებელი ჰყავთ, აქედან თვით ქუთაისშია 414, ხოლო სოფლებში—509.

ქუთაისს არ გააჩნდა უმაღლესი სასწავლებელი, ახლა კი ქალაქში არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც 1.880 სტუდენტი სწავლობს. ინსტიტუტი 1933 წელს დაარსდა.

შ. ბუაჩიძე

ქუთაისი

რამდენ ქარტეხილს გადაუვლია ამ ისტორიულად ბედშავ ქალაქის თავზე! ვის არ აუოხრებია იმერეთის დედაქალაქი! უკანასკნელად, დასავლეთ საქართველოში რუსის ჯარის შეჭრამდე, ქუთაისს ახალციხის ფაშა ჰფლობდა და სოლომონ პირველს ბევრი ცხარე ბრძოლის გადატანა დასჭირდა, რომ იმერეთიდან გაედევნა მოძალადენი.

„ამასთანავე გიბრძანებ, რომ მიღებისთანავე ამა წერილისა შეკრიბო ფიცისკაცნი — თავადნი და აზნაურნი თავიანთი ყმებით და ისინიც, რომელნიც ან ჩემი სახასო ყმები არიან და ან ეკლესიისა; ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს, თავადაზნაურობისაგან სუყველა, ხოლო გლეხებისაგან კომლზე თითო გამოაწვიე. შემოჰკარით ქუთაისის ციხე, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ. ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მიღება განაცხადოს, ის დაინდეთ და შემდეგ ჩემთან მოიყვანეთ“, — სწერდა სოლომონი ფიცისკაცების ბელადს თავად ლორთქიფანიძეს.

ფიცისკაცებმა ალყა შემოარტყეს ქუთაისის ციხეს, ამოხოცეს მეციხოვნე რაზმი და აიღეს ქალაქი, მაგრამ მეორე წელს ველარ გაუმკლავდნენ თურქ-ლეკის ჯარს და ქუთაისი კვლავ მოძალადეთა საჯიჯგნი გახდა...

გაუთავებელმა ბრძოლებმა თავისი დაღი დაასვეს ქალაქს. დაბალი შენობები, მოქცეული ქუჩები, ვიწრო და ბნელი შესახვევები—ასეთი იყო ქუთაისი ისტორიულად.

მეფის რუსეთის ასი წლის ბატონობამ ძირი გამოუთხარა ისედაც ილაჯგამოლეული ქალაქის მეურნეობას. თვითმპყრობელობა ქუთაისს „კრამოლის“ ბუდედ სთვლიდა და ფაბრიკა-ქარხნების ნაცვლად იქ პოლიციის უბნებს ამრავლებდა, სატუსაღოებს აშენებდა. ქალაქი კი კვლავ ტალახში იხრჩობოდა, უწყლობით და უსინათლობით სული ეხუთებოდა.

მხოლოდ მღვრიე რიონი იყო ქუთაისის გამკითხავი მეფის სატრაპების და მენშევიკების ქარაფშუტა გენერალ - გუბერნატორების ხელში. ზამთარ-ზაფხულ მეთულუხჩე იყო ქუთათურთა იმედი და ისიც დილიდან საღამომდის დაულალავად დააქროლებდა თავის „ტაიჭს“ და კასრის კოფოზე შემომჯდარი მხიარულად ღიღინებდა.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შეუცვალა ქუთაისს ეს იერი. ქალაქი გარდაიქმნა. მრეწველობის განვითარებამ ქუთაისი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრად აქცია. გაიზარდა მოსახლეობა, რომელიც ამჟამად 70 ათას სულს აღემატება.

არც იმდენი დრო გასულა მას შემდეგ, რაც დაიწყო ქუთაისის კეთილმოწყობა, მაგრამ გაკეთებულია იმდენი, რამდენიც საუკუნის მანძილზე არ გაკეთებულა. ქუჩები შეიმოსა ასფალტით, აბრჭყვიალდა ელნათურები, მეთულუხჩენი შესცვალა წყალსადენმა, აშენდა და შენდება მრავალსართულიანი სახლები, კულტურის კერები, გაჰყავთ კანალიზაცია, გაიზარდა საქალაქო ტრანსპორტი, ბავშვებმა მიიღეს ახალი სკოლები, ბაღები, ბაგები.

ყოველწლიურად ახალ-ახალი ნაგებობანი ემატება ქუთაისს. წელსაც ფართო პერსპექტივები იყო დასახული საქალაქო მეურნეობის განვითარების დარგში. მიმდინარე წლის საამშენებლო პროგრამა ითვალისწინებს წლობით გაჭიანურებულ საამშენებლო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას, შეჩერებულ მშენებლობათა წარმოებას და ახალ კომუნალურ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა აგებას. ქუთაისის კომუნალური მეურნეობის 1938 წლის საამშენებლო პროგრამა განსაზღვრულია 4.264.200 მანეთით.

ძველ ქუთაისს, როგორც ვთქვით, წყალსადენი არ ჰქონდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა ქალაქში წყლის გაყვანა, მაგრამ არსებული წყალსადენის სიმძლავრე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

◁ ○ ▷

ქუთაისს დღეღამეში ესაჭიროება 30.000 კუბმეტრი წყალი, ამ დეფიციტის დასაფარავად და საერთოდ ქალაქის სალი, სუფთა სასმელი წყლით მომარაგების მიზნით შარშან დაიწყო ჰიდრო - გეოლოგიური სამუშაოები მაღლაკ-ფარცხანაყანევის მიდამოებში, სადაც აღმოჩენილ იქნა წყლის საკმაოდ დიდი დებიტი (25.920 კუბმეტრი დღეღამეში). სწარმოებს ახალი წყალსადენის მშენებლობის დაპროექტება, რაზედაც წელს დაიხარჯება 140.000 მანეთი.

დიდი სამუშაოებია დასახული კანალიზაციის დარგში. კანალიზაციის მშენებლობა ქუთაისში ფაქტიურად 1936 წელს დაიწყო. პირველი რიგის სამუშაოები მზად იქნება მიმდინარე წლის დამლევს. კანალიზაციის ამუშავების უზრუნველსაყოფად წელს დაიხარჯება 1.050 ათასი მანეთი, სულ კი პირველი რიგის სამუშაოების ღირებულება 3.600.000 მანეთს შეადგენს (კანალიზაცია სულ დაჯდება 10 მილ. მანეთამდე).

ქუთაისი საკმაოდ მოზრდილი ქალაქია. ტერიტორიულად ის ძალზე გაფანტულია და 35 კვ. კილომეტრის ფართობი უჭირავს. ამოდენა ქალაქს მხოლოდ სამი ხიდი აქვს, ისიც მოძველებული და გაცვეთილი. ეგრეთწოდებული „თეთრი ხიდი“, რომელსაც ყველაზე მეტი დატვირთვა აწევს, ამჟამად სანახევროდ დანგრეულია და თუ მასზე აკრძალული არ არის მოძრაობა, ეს ქალაქის მეურნეობის მესვეურთა უყურადღებობას მიეწერება.

ქუთაისს ესაჭიროება მეოთხე ხიდი, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე გაშლილი ქალაქის ორ დიდ სამრეწველო უბანს. ახლა ისინი 6-7 კილომეტრით არიან ერთმანეთს დაშორებული. მეოთხე ხიდის მშენებლობა დაიწყო 1936 წელს იმ ვარაუდით, რომ მისი აგება დამთავრებულიყო 1938 წელში, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებულმა ხალხის მტრებმა ხიდის მშენებლობა ჩაშალეს.

წელს ხიდის მშენებლობაზე დაიხარჯება 1.400 ათასი მანეთი. ახალი ხიდის საექსპლოატაციოდ გადაცემა განზრახულია მომავალი წლის პირველ კვარტალში.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ხიდის ღირებულება 3.433.000 მანეთს უდრის.

საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრს ამჟამად მხოლოდ ერთი სასტუმრო აქვს, რაც ვერ უზრუნველჰყოფს გაზრდილი ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ქუთაისს ესაჭიროება ახალი, უფრო დიდი და უკეთესად მოწყობილი სასტუმრო. საამისოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას რიონჰესის სამმართველოს მიერ ქალაქის ცენტრში აგებული დიდი ოთხსართულიანი შენობა, რომელიც სამი წელიწადია კონსერვაციაქმნილია. ამ მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის საბჭომ ზემდგომ ორგანოების წინაშე აღძრეს შუამდგომლობა, რომ ეს შენობა ქალაქს გადასცემოდა. ძველ ქართულ სტილზე დაწყებული შენობა, რომელზედაც დღემდე დახარჯულია 1.060 ათასი მანეთი, მოითხოვს კიდევ 1.100.000 მანეთის დაბანდებას. ამის შემდეგ ჩვენ მივიღებთ მშვენიერ სასტუმროს, რომელსაც 60 კეთილმოწყობილი ოთახი ექნება. სასტუმრო ამუშავდება 1939 წელს.

ქუთაისს ამჟამად მხოლოდ ერთი აბანო მოეპოვება. მისი გამტარუნარიანობა 68 კაცს არ აღემატება საათში. ეს, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში ისეთი ქალაქისათვის, სადაც მოსახლეობა 70 ათასს სჭარბობს. 1932 წლიდან დაწყებულია ახალი აბანოს მშენებლობა, რომელიც საათში გაატარებს 120 მობანავეს. აბანო ამუშავდება მიმდინარე წლის დამლევს. წელს აბანოზე დაიხარჯება 138.600 მანეთი.

ძველი ქუთაისი ცნობილი იყო ოღრო - ჩოღრო, ბნელი ქუჩებით. ამჟამად ქალაქის ყველა ცენტრალური მაგისტრალი ასფალტით არის მოფენილი. დღემდე მოასფალტებული ქუჩების ფართობი 57.687 კვ. მეტრს შეადგენს. წელს სტალინის სახელობის ქუჩის მეორე ფენით მოასფალტებისათვის დაიხარჯება 110 ათასი მანეთი.

ძალზე ჩამორჩენილია ქუთაისში საბინაო მშენებლობა. მაშინ, როდესაც ბინების მშენებლობას სხვა ქალაქების სამეურნეო გეგმაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს, ქუთაისში ეს დარგი ვერ იპყრობს საჭირო ყურადღებას. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: წელს ქუთაისში საბინაო სამმართველოს ხაზით მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი შენდება, ისიც გარდამავალი მშენებლობაა, დაწყებული 1934 წელს.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა არსებული ბინების შეკეთების მხრივ: შარშანდელი 30.000 მანეთის ნაცვლად წელს სახლების კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯება 1,5 მილიონი მანეთი (შეკეთებული იქნება 60 სახლი), ხოლო მიმდინარე რემონტზე — 250.000 მანეთი.

ძალიან ჩამორჩენილია აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტი. 12 ავტობუსიდან, რომელიც ქალაქს გააჩნია, ამჟამად მუშაობს მხოლოდ სამი, დანარჩენი დგას ნაწილების უქონლობის გამო. წელს გათვალისწინებულია 4 ახალი მანქანის შეძენა. ეს მცირედად თუ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას ქალაქისას, რომელიც რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა გაჭიმული.

ცუდი მდგომარეობაა ქალაქში სისუფთავის დაცვის მხრივ. ამ დარგს არ ექცევა სათანადო ყურადღება.

გასცდებით თუ არა ქალაქის ცენტრს, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ტლაპოები, რომლებითაც სავსეა განაპირა უბნების ქუჩები. წყალსადენის ონკანებიდან დაღვრილ წყალს არ მიუჩინეს კალაპოტი და მან ზოგან სრულიად გაუვალი გახადა ისედაც დანგრეული ქუჩები.

○

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში გაუგონარ სიმაღლეზე აიყვანა მშრომელთა ფართო მასების კულტურა. გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ქუთაისში შენდება სკოლები, საბავშვო სახლები, ბაღები და თეატრები.

წელს ქუთაისი გამდიდრდა ახალი საზაფხულო 600 ადგილიანი თეატრით, რომელიც ქალაქის ბაღშია აშენებული.

გარდა ამისა, დაწყებულია მშენებლობა 800 ადგილიანი დიდი თეატრისა, რომელიც თავისი არქიტექტურული გაფორმებით ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი შენობა იქნება. ახალი თეატრის მშენებლობა დამთავრდება 1940 წელს.

მიმდინარე წლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იმ საამშენებლო ობიექტების დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაწყებულია განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხაზით აშენდა სრული საშუალო სკოლის შენობა თბილისის ქუჩაზე. წელს უნდა დამთავრდეს 100 ადგილიანი საბავშვო სახლის მშენებლობა, რომელიც 1932 წლიდან სწარმოებს. დაიხარჯება 299.200 მანეთი. დამთავრდა 100 ადგილიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც 1937 წელს დაიწყო. შენდება აგრეთვე ახალი ბინა სამხარეთმცოდნეო მუზეუმისათვის, რაზედაც წელს 183.000 მანეთი დაიხარჯება. შენობა მზად იქნება 1939 წელს.

შარშან ქუთაისში აშენდა 4 საბავშვო ბაგა 200 ადგილით, დაიხარჯა 566.000 მანეთი. წელს სწარმოებს სამშობიარო სახლის მშენებლობა.

ქუთაისთან არის დაკავშირებული მგზნებარე ბოლშევიკის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის საშა წულუკიძის სახელი. აქ გაატარა მან მრავალი წელი, აქ იბრძოდა ის მუშათა კლასის გათვითცნობიერებისათვის. აღდგენილია ის სახლი, სადაც საშა წულუკიძე ცხოვრობდა. ამ საქმეზე დაიხარჯა 42 ათასი მანეთი.

გარდა ამისა, „თეთრ ხიდთან“ გაშენებულია ს. წულუკიძის სახელობის სკვერი, სადაც დადგმულია მისი ძეგლი.

○

ქუთაისის საბჭოს აპარატში გამძვრალმა ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს საქალაქო მეურნეობას. ისინი ცდილობდნენ მშენებლობის პროგრამის ჩაშლას, მშრომელთა უკმაყოფილების გამოწვევას. სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ გამოამჟღავნა მტრები და აღკვეთა მათი საზიზღარი საქმიანობა.

შემდგომი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავამახვილოთ სიფხიზლე და მივიღოთ გადამჭრელი ზომები მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ქუთაისის მაგალითზე თვალნათლივ სჩანს ის ცვლილებანი, რომლებიც მისცა მშრომელებს სოციალიზმის გამარჯვებამ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიას შეეძლო გადაექცია ქუთაისი სამრეწველო ცენტრად, რომელიც დღითი-დღე იზრდება ჩვენი მშვენიერი სამშობლოს, ბედნიერი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

◆

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

პარიზი, 7 დეკემბერი (საკდესი). რიბენტროპისა და ბონეს მოლაპარაკება გუშინ საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციის ხელმოწერისთანავე დაიწყო და დაახლოებით 2½ საათს გრძელდებოდა. რამდენადაც მოლაპარაკების დროს არ მოუწვევიათ ტექნიკური, ეკონომიური ან იურიდიული ექსპერტები, აქედან აქ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ თანამესაუბრენი არ გასცილებიან საერთო-პრინციპული საკითხების განხილვის ფარგლებს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინდელი მოლაპარაკების გამო გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტმა პარიზში 6 დეკემბერს საშუალება მოგვცა ფართოდ გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის საფრანგეთ-გერმანიის შეხედულებანი. რიბენტროპსა და ჟორჟ ბონეს შორის წარმოებული მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა ევროპის ძირითადი პრობლემები და განსაკუთრებით ის პრობლემები, რომლებიც უშუალოდ ეხებიან საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას. როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიერ აღიარებული იყო, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარება მათი საზღვრების ფორმალურად აღიარების საფუძველზე სამსახურს გაუწევს არა მარტო მათს საკუთარ ინტერესებს, არამედ არსებითად ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის შენარჩუნებასაც.

ამ თვალსაზრისით ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს რა ორივე მთავრობის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მესამე სახელმწიფოებისადმი, გამოჰხატავს მათს მისწრაფებას მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე და, ამგვარად, მოასწავებს მნიშვნელოვან ნაბიჯს საერთო მშვიდობიანობის გზაზე".

დეკლარაციის გარშემო

პარიზი, 7 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაციას მთავრობასთან ახლო მდგომი პრესაც კი ფრიად თავდაჭერილად აფასებს.

მაგალითად, გაზეთი „ჟურნალი" იძულებულია საბოლოო ანგარიშით აღნიშნოს, რომ დეკლარაცია „არაკონკრეტულია და ღიად სტოვებს ყველა საკითხს", რომლებიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას ეხება.

პარლამენტის მემარჯვენე დეპუტატი ჟურნალისტი ანრი დე კერილისი „ეპოკში" მოთავსებულ წერილში სწერს: „დიპლომატიური დოკუმენტი ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასეთი უშინაარსო, არ ყოფილა ასეთი ზოგადი სიტყვებით შედგენილი და არ ყოფილა ამდენად ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული. გერმანია კვლავ იმეორებს თავის დაპირებებს, რომლებიც ელზასსა და ლორენს ეხება, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ მას საჭიროდ მიაჩნია ბარჰეტგადენის შემდეგ მესამედ განიმეოროს ეს გარანტიები, იმას ამტკიცებს, თუ თვითონ იგი რამდენად ნაკლებ ღირებულებას აკუთვნებს თავის საკუთარ სიტყვებს".

„როგორც ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონში ჩასვლის დროს დავრწმუნდი, — სწერს შემდეგ დე კერილისი, — იქ სჭარბობს რწმენა, რომ რიბენტროპის თამაში იმაში გამოიხატება, რომ მოახდინოს საფრანგეთის ნეიტრალიზაცია იმ დიდი შეტევის წინ, რომელსაც გერმანია მომავალ გაზაფხულზე აპირებს. ამ ნეიტრალიზაციის მისაღწევად რიბენტროპი გულმოდგინედ აძინებს ჩვენს ქვეყანას მეგობრობის ფიცითა და მშვიდობიანობისადმი ხოტბის შესხმით".

გაბრიელ პერი „ლუმანიტეში" სწერს, რომ „მთელი რიგი წლების განმავლობაში გერმანია, განაგრძობდა რა საფრანგეთის უშიშროების მოსპობას, ცდილობდა გამოეგლიჯა საფრანგეთისათვის განცხადება, რომ იგი ევროპის მდგომარეობით დაინტერესებული არ არის. გერმანიამ ახლა ეს განცხადება მიიღო. რას იძლევა იგი სამაგიეროდ? მხოლოდ იმას, რომ სცნობს საფრანგეთის ახლანდელ საზღვრებს. ამ ცნობას იმითივე ღირებულება აქვს, როგორიც ჰქონდა გერმანიის მიერ თავის დროზე ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ცნობას".

საგაფიცვო მოძრაობის გაფართოება საფრანგეთში

პარიზი, 6 დეკემბერი (საკდესი). მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა თანდათან უფრო ფართოვდება. ჰავრში 6 ათასმა მეზღვაურმა გაფიცვით გამოუცხადა სოლიდარობა პროფკავშირის მდივანს, რომელიც სამსახურიდან დაითხოვეს. გაზეთ „ჟურნალის" ცნობებით, ნავსადგურში გაიფიცა 20 გემის ეკიპაჟი. ქვემო სენის რაიონში გაიფიცნენ სანაოსნო მუშები.

ტრანსატლანტიკურმა სანაოსნო კომპანიამ გადასწყვიტა დაითხოვოს ჰავრში მყოფი გემების ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა. სანაოსნო კომპანიამ მოითხოვა, რომ ყველა დათხოვნილმა ინდივიდუალური განცხადება შეიტანოს სამუშაოზე მიღების შესახებ.

თავიანთ კრებაზე, რომელიც გუშინწინ შესდგა, მეზღვაურებმა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა.

საფრანგეთის მთავრობის სხდომა

პარიზი, 6 დეკემბერი (საკდესი). დღეს დილით რესპუბლიკის პრეზიდენტის ლებრენის თავმჯდომარეობით შესდგა საფრანგეთის მთავრობის სხდომა.

ამ სხდომის გამო გამოშვებულ ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს დეპუტატთა პალატისა და სენატის სესია 8 დეკემბერს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონემ გააკეთა სხდომაზე საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა. იუსტიციის მინისტრის მარშანდოს წინადადებით, დანიშნული არიან მთელ რიგი პირები სასამართლო უწყებაში. ამას გარდა, ფინანსთა მინისტრის პოლ რეინოს წინადადებით მიღებულია დეკრეტი, რომლის თანახმად აკრძალულია ახალი თანამდებობების შექმნა იმ სახელმწიფო სამმართველოებსა და დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფოს ექვემდებარებიან.

საფრანგეთის საწინააღმდეგო ახალი დემონსტრაციები იტალიაში

რომი, 7 დეკემბერი (საკდესი). დღეს რომში, ტურინში, მილანში, გენუასა და იტალიის სხვა დიდ ქალაქებში მოეწყო სტუდენტთა ახალი მანიფესტაციები საფრანგეთის საწინააღმდეგოდ. რომში სტუდენტებმა გაიარეს საფრანგეთის საელჩოს შენობის წინ და გაიძახოდნენ: „მოვითხოვთ ტუნისსა და კორსიკას!".

ამ მანიფესტაციების „მოულოდნელობა" თუნდაც იმ ფაქტიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ მანიფესტაციების დაწყებამდე დიდიხნით ადრე საფრანგეთის საელჩოს ალყა შემოარტყეს პოლიციის დიდმა რაზმებმა.

O

პარიზი, 6 დეკემბერი (საკდესი). საღამოს გაზეთები აქვეყნებენ რომიდან მიღებულ დეპეშებს საფრანგეთის საწინააღმდეგო ახალი დემონსტრაციების შესახებ, რომლებიც დღეს დილით გაიმართა იტალიის დედაქალაქში. გადმოგვცემენ, რომ რამდენიმე ასეულმა იტალიელმა სტუდენტმა ქალაქის მთავარ ქუჩებში გაიარა ყვირილით: „ტუნისი, ტუნისი!".

რუზველტის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი (საკდესი). პრეზიდენტი რუზველტი გამოვიდა სიტყვით ჩრდილოეთ კაროლინის შტატის უნივერსიტეტში. რუზველტის სიტყვა შეიცავდა მისი პროგრესიული ღონისძიებების დაცვას რეაქციონერთა თავდასხმებისაგან. მიმართავდა რა, როგორც სჩანს, პროგრესიულ ელემენტებს რესპუბლიკური პარტიის შიგნით, რომლებიც უკმაყოფილონი არიან აღმასკომის შემადგენლობაში ყველაზე უფრო რეაქციონური ლიდერების ხელახალი არჩევით, რუზველტმა განაცხადა, რომ რეაქციული მრეწველები და ბანკირები თავის დროზე რესპუბლიკელი პრეზიდენტის ფეოდორ რუზველტის რეფორმების წინააღმდეგაც გამოდიოდნენ, ისევე როგორც ახლა გამოდიან მთავრობის პროგრესიული ღონისძიებების წინააღმდეგ. შეეხო რა თავდასხმებს მასზე იმის გამო, რომ თითქოს ის „ძველ ტრადიციებს არღვევს" და „მდიდრების მტერია", რუზველტმა განაცხადა, რომ მას „სწამს კაპიტალისტური სისტემა და მშვიდობიანობის პოლიტიკას ატარებს". რუზველტმა გადაჭრით გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ რეაქციონერები უკანასკნელი არჩევნების შედეგებს ისე ხსნიან, თითქოს ეს პროგრესიული მოძრაობის დასასრულს ნიშნავდეს. პროგრესიული ძალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაცხადა რუზველტმა, წარსულშიც მარცხდებოდნენ, მაგრამ მალე კიდევ უფრო მტკიცე ხდებოდნენ, ვიდრე წინათ.

შემთხვევა საზღვარზე

ჩრდილო - დასავლეთის საზღვარი, 7 დეკემბერი (საკდესი). კოლმეურნე პავლე სიმონის-ძე კარპოვთან მივიდა ორი კაცი, წითელარმიელის ფორმით გამოწყობილნი. ისინი გატალახიანებულნი და ძლიერ დაღლილნი იყვნენ.

—აი მამავ,—უთხრა ერთმა მათგანმა პავლე სიმონის-ძეს,—მთელი დღე ვეძებდით ტყეში ცხენს და ვერას გზით ვერ ვიპოვნეთ.

კოლმეურნეს უცნობების ყოფაქცევა საეჭვოდ ეჩვენა. მან გადასწყვიტა მესაზღვრეებისათვის ეცნობებინა მათ შესახებ. კოლმეურნემ ცოლს უთხრა: წადი ერთი, რძე მოიტანე... ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან დაუმატა: მოიცა, მე თვითონ წავალ.

პავლე სიმონის-ძე გავიდა სახლიდან, მოახტა ცხენსა და საყარაულო რაზმისაკენ გაჰქუსლა.

როცა მესაზღვრეები მიუახლოვდნენ კოლმეურნის სახლს „წითელარმიელები" ჯერ კიდევ სუფრას უსხდნენ. ისინი დააპატიმრეს. დაპატიმრებულები საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრები აღმოჩნდნენ.

ამას წინათ მეორე შემთხვევას ჰქონდა ადგილი. საზღვრის პირად მდებარე ერთერთი სოფლის მუშას ბოგაჩევს მიჰმართა უცნობმა ესწავლებინა ქალაქისაკენ მიმავალი გზა.

— უბედურება მოხდა, — სთქვა უცნობმა,—მანქანა გატყდა. იძულებული გავხდი დამეტოვებინა შოფერი ავარიის ადგილას, მე კი ქალაქში წამოვსულიყავი... მუშას ეს ისტორია საეჭვოდ მოეჩვენა. მან დამშვიდებით უთხრა:

— წავიდეთ, მე გაგიყვანთ ქალაქის გზაზე.

ბოგაჩოვმა იგი საგუშაგოზე შეიყვანა. უცნობი აღმოჩნდა უცხოეთის დაზვერვის ჯაშუში.

საბჭოთა გრაფიკის გამოფენა ლონდონში

ლონდონი, 6 დეკემბერი (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში ამხ. მაისკიმ ლონდონში გახსნა საბჭოთა გრაფიკის მეორე გამოფენა (პირველი გამოფენა 1934 წელს იყო). მოკლე სიტყვით ამხ. მაისკიმ აღნიშნა გამოფენის მნიშვნელობა ინგლის-საბჭოთა კავშირის კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცების თვალსაზრისით და ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენა იხსნება ისეთ ვითარებაში, როდესაც საბჭოთა კავშირის საზღვრებს გადაღმა უფროდაუფრო ძლიერდება კულტურის წინააღმდეგ ზარბაროსული ლაშქრობისა და ყველაზე ელემენტარული ნაციონალური უფლებების შელახვის ტალღა. შეკრებილთა განსაკუთრებული თანაგრძნობა გამოიწვია ამხ. მაისკის სიტყვის იმ ადგილმა, სადაც იგი აღნიშნავდა საბჭოთა კავშირის მიღწევებს ნაციონალური პოლიტიკის დარგში. კერძოდ, ეს მიღწევები ასახულია გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილია უკრაინელ, სომეხ, ქართველ, ებრაელ და სხვა მხატვართა მთელი რიგი ნაშრომები.

ყინულმჭრელი „ლიტკე" მურმანსკის ნავსადგურიდან ლენინგრადისკენ გაემართა

მურმანსკი, 7 დეკემბერი (საკდესი). გუშინ წითელდროშოვანმა ყინულმჭრელმა „ლიტკემ" დასტოვა მურმანსკის ნავსადგური და გაემართა ლენინგრადისკენ, სადაც შესაკეთებლად დადგება.

გზად ყინულმჭრელი შეივლის შპიცბერგენის კუნძულზე. „ლიტკე" მიიყვანს მეზამთრეთა უკანასკნელ პარტიას ბარენცბურგის საბჭოთა ქვანახშირის მაღაროებში.



ქუთაისი. ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობა.

„ფიცი"

ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი კინო-რეჟისორი, ფილმ „დიადი განთიადის" დამდგმელი **მ. ჭიაურელი.**

როგორც ამხ. მ. ჭიაურელმა განაცხადა, იგი ამჟამად გ. ცაგარელთან და ი. პერესტიანთან ერთად მუშაობს სცენარზე ახალი ფილმისათვის.

ფილმის საკვანძო ადგილს წარმოადგენს ის მომენტი, როდესაც ოპოზიციონერები ვარაუდობდნენ ლენინის სიკვდილის შემდეგ გახრწნა შეეტანათ ბოლშევიკური პარტიის რიგებში, გაეთიშათ პარტია, ჩაენერგათ მისთვის სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საქმისადმი რწმენის უქონლობა. მაგრამ ბოლშევიკური პარტია უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინის დროშის ქვეშ თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის გარშემო და გაანადგურა პარტიისა და მუშათა კლასის მტრები.

ფილმში ნაჩვენები იქნება ლენინის ავადმყოფობა და გარდაცვალება, პარტიის XI ყრილობა, საბჭოების მეორე ყრილობა და ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინისა და მთელი საბჭოთა ხალხის ფიცი ლენინის ცხედართან.

სცენარი მზად იქნება მომავალი წლის აპრილში. ფილმს გადაიღებენ თბილისის კინოსტუდიაში და დასრულდება 1939 წლის დამლევს. მის გადაღებაზე ის შემადგენლობა იმუშავებს, რომელიც „დიადი განთიადის" დადგმაზე მუშაობდა.

„თოფიანი კაცი" რუსთაველის თეატრში

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი თავის მორიგ პრემიერად ამზადებს დრამატურგ ნ. პოგოდინის პიესას „თოფიანი კაცი". პრემიერის ჩვენება განზრახულია დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ: ლენინის როლს—სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი აკ. ვასაძე და ორდენოსანი მსახიობი დ. მჟავია, სტალინის როლს — მ. გელოვანი და ახალგაზრდა მსახიობი ა. კობალაძე. სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს თეატრის მთელი დასი და აგრეთვე სტუდიელები.

„თოფიან კაცს" სდგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი აკ. ხორავა. მუსიკა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ორდენოსან ი. ტუსკიასი, მხატვარი —ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი ირ. გამრეკელი.

როდის გამოსცემენ გეოგრაფიის სახელმძღვანელოებს?

გეოგრაფიის შესწავლას საბჭოთა ბედნიერი ახალგაზრდობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამაზე მიგვითითებს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 მაისის ისტორიული დადგენილება. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე დამუშავებული სახელმძღვანელოს გარეშე შეუძლებელია მივაღწიოთ გეოგრაფიის სწავლების მაღალხარისხოვნად დაყენებას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს სკოლებში?

საქართველოს არასრულ და საშუალო სკოლებს გეოგრაფიის სახელმძღვანელოები არ გააჩნიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მე-4 კლასის სახელმძღვანელოს, რომელიც გამოვიდა დროზე — სასწავლო წლის დასაწყისშივე. დიდი დაგვიანებით, 10 ოქტომბერს, ბაზარზე გამოვიდა აგრეთვე მე-7 კლასის სახელმძღვანელო — სსრკ-ის ფიზიკური გეოგრაფია ბარანსკისა. დადანარჩენ მე-6, 8 და 9 კლასებში მოწაფეებს სრულებით არა აქვთ სახელმძღვანელოები.

მე-6 კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო — ქვეყნის ნაწილების გეოგრაფია ივანოვისა, დ. დონდუას მიერ გადათარგმნილი, უკვე თვეზე მეტი იქნება, რაც სტამბაშია. „ქაღალდი არა გვაქვს და ვერ ვბეჭდავთო", აცხადებენ სახელგამის მუშაკები.

მე-7 კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო—სსრკ ფიზიკური გეოგრაფია ჩეფრანოვისა განსახკომს გეგმაშიაც კი არ შეუტანია დასაბეჭდად.

მე-7 კლასში უკვე დაწყებულია სსრკ სარაიონო მიმოხილვა, ხოლო მოწაფეებს არა აქვთ საამისო სახელმძღვანელო.

მე-8 და მე-9 კლასების სახელმძღვანელოებს აგვისტოდან სთარგმნიან და თარგმნა დღესაც არ არის მოთავებული. სახელმძღვანელოების უქონლობა ძალიან აბრკოლებს ბრძოლას მოწაფეთა აკადემიური წარმატების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ვეკითხებით განსახკომს: როდის გამოიცემა გეოგრაფიის სახელმძღვანელოები?

ქ. ზაალიშვილი

გეოგრაფიის მასწავლებელი

ბერძნული და ებრაული სამარხები მცხეთაში

10 ოქტომბერს მცხეთაში, ბებრისციხესა და მონასტერ „სამთავროს" შუა, პოლიკლინიკის სახლის საფუძვლის ჩაყრის დროს, მიწის თხრისას 1,5 მეტრის სიღრმეზე მუშები წააწყდნენ მჭიდროდ დახურულ ქვის აკლდამას. აღმოჩენის ადგილიდან ცოტა დაშორებით იპოვნეს კიდევ ერთი აკლდამა.

აკლდამის ქვაზე არსებული წარწერით ირკვევა, რომ პირველი სამარხი ბერძნული წარმოშობისაა და ეკუთვნის I—II საუკუნეს (ჩვენი ერა), ხოლო მეორე ებრაულია და, მკვლევართა აზრით, მიეკუთვნება მესამე საუკუნეს ჩვენს ერამდე.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ 1872 წელს უცხოელმა მეცნიერმა ფრიდრიხ ბაიერნმა ამავე ადგილას არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინა დიდძალი სამარხები ძვირფასი სამკაულებით. ეს ფაქტი ამ ადგილისადმი მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ახლად აღმოჩენილ ებრაულ სამარხში იპოვნეს ბრტყელი ქვა წარწერით. ასოები, რომლითაც შესრულებულია წარწერა, ძველი ებრაულ - არამეულია. წარწერა ექვსი სტრიქონისაგან შესდგება. პირველი ოთხი სტრიქონი კარგადაა შენახული, უკანასკნელი ორი კი დაზიანებულია. სტრიქონების ამოშიფრვის შემდეგ ამოკითხულ იქნა მიცვალებულის გვარი, სახელი, მამის სახელი, გარდაცვალების დრო და სხვ.

ყურადღებას იპყრობს ორნამენტები პურის, დოქის და ჭიქის გამოსახულებით ქვაზე. ამ აღმოჩენამ დაადასტურა კერამიკული წარმოების არსებობა ჩვენში. აღმოჩენა შუქს ჰფენს აგრეთვე ებრაელთა მოსახლეობის არსებობას უძველეს საქართველოში და მათ კავშირს აღმოსავლეთთან.

ძეგლის საბოლოო დადგენაზე ამჟამად მუშაობენ საქართველოს განათლების კომისარიატთან არსებული ებრაელთა ისტორიული მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები.

„ქეთო და კოტე" კიევის მუსიკალურ კომედიის თეატრში

მოსკოვი, 8 დეკემბერი (**ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.**). კიევიდან იუწყებიან: მუსიკალური კომედიის თეატრში დიდი წარმატებით მიდის ვ. ი. დოლიძის მუსიკალური კომედია „ქეთო და კოტე" რეჟისორ გერმანის დადგმით. „ქეთო და კოტე" მიდის უკრაინულ ენაზე მ. ბაჟანის საუცხოო თარგმანით. მთარგმნელმა ოსტატურად გადასცა ამ მშვენიერი ნაწარმოების სიხალისე და იუმორი. ცეკვები დიდი ოსტატობით დადგმულია ორდენოსან ბალეტმეისტერ სუხიშვილის მიერ. კიევის სცენაზე „ქეთო და კოტეს" დადგმას დიდი დახმარება გაუწია თავისი კონსულტაციით თბილისის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო საოპერო თეატრმა.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პიონერთა კლუბის აქტიური წევრი მეჩონგურე ლამარა ჩოჩია.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

დ. ბადრიძის პირველი გასტროლი

გუშინ, 7 დეკემბერს, [illegible] ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში დაიწყო მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის დავით ბადრიძის გასტროლები.

დ. ბადრიძეს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. ამ ხუთი წლის წინათ მან დასტოვა თბილისი და სამუშაოდ გადავიდა ჯერ სვერდლოვსკში, შემდეგ კი მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში. ამ წლებს მისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. დ. ბადრიძე დავაჟკაცებულა, როგორც შემოქმედი მუშაკი, გაუმდიდრებია სიმღერის კულტურა და გაუუმჯობესებია სცენიური ოსტატობა.

პირველი გამოსვლისათვის დ. ბადრიძემ აირჩია ჯუზეპე ვერდის „რიგოლეტო", სადაც მღეროდა ჰერცოგის პარტიას. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. პირველი არიიდანვე ნათელი გახდა, რომ გასტროლიორის სახით საქმე გვაქვს პირველხარისხოვან მომღერალთან. ინტერესი მისდამი თანდათან იზრდებოდა. ამას ხელს უწყობდა დ. ბადრიძის მომხიბვლელი სიმღერა და კარგი თამაში. მეოთხე აქტის ცნობილმა არიოზომ, დ. ბადრიძის მიერ ოსტატურად შესრულებულმა, მოაჯადოვა აუდიტორია. დამსწრეთა ერთსულოვანი მოთხოვნით დ. ბადრიძემ ეს არიოზო ოთხჯერ შეასრულა: რუსულად, ქართულად, უკრაინულად და იტალიურად.

დ. ბადრიძის ღირსეული პარტნიორები იყვნენ პ. ამირანაშვილი (რიგოლეტო) და მ. ნაკაშიძე (ჯილდა). მათმა საუცხოო სიმღერამ და თამაშმა ბევრი მხურვალე ტაში მოსწყვიტა აუდიტორიას.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

მწერალთა კავშირში

● **9 დეკემბერს** შესდგება ამხ. ს. ლარცულიანის ლექცია თემაზე „ნაროდნიკების განადგურება და ლენინის წიგნი „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ინდივიდუალური კონსულტაციები

დღეს ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში საღამოს 8-დან 11 საათამდე შესდგება ინდივიდუალური კონსულტაციები.

კონსულტაციებს ატარებენ:

ქართულ ენაზე ამხ. მოისწრაფიშვილი, ტელეფონი № 3—61—68.

რუსულ ენაზე ამხ. კანტერე — ტელეფონი № 3—18—46.

დღეს კინოებში

ოქტომბერი — „საზღვარზე".
დამკვრელი — „ჭაობის ჯარისკაცები"
კომკავშირელი — „მიტკა ლელიუკი"
რ. ლუქსემბურგის სახ. — „გაიჩი"
სპარტაკი — „მიტკა ლელიუკი"
26 კომუნარის სახ. — „11 ივლისი"

პირველი სეანსის დასაწყისი — „ოქტომბერში" — 6 საათზე, სხვა კინოთეატრებში — 6 საათსა და 30 წუთზე.

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი ოთხთვიანი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი, 16). 9 დეკემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მიერ გამოყოფილი ამხანაგები ვალდებული არიან დაუგვიანებლად გამოცხადდნენ მეცადინეობაზე.

ქვანახშირი და მარგანეცი

7 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	1185	117,1
ტყვარჩელი	702	877	125
ჭიათურა	5530	4921	89

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

9/XII	წარმოდგენა 67 სულელი
10/XII	წარმოდგენა 68 უდანაშაულოდ დამნაშავენი
11/XII	წარმოდგენა 69 ოტელო

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

9/XII	კოლმეურნის ქორწინება
10/XII	კოლმეურნის ქორწინება
11/XII	შური

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე.

თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

9/XII	10/XII	11/XII
მუდმ. ადგ. ტალ. № 43	მუდმ. ადგ. ტალ. № 44	მუდმ. ადგ. ტალ. № 45
ქეთო და კოტე	დაისი	სევილიელი დალაქი

დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწ. თეატრი
დეკემბრის 15-დან დაიწყება მუდმივ ადგილებზე
ბილეთების წიგნაკების გაცემა.

იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ ექნებათ დაფარული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მორიგი გადასახდელი, წიგნაკები არ მიეცემათ.
80

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წ. 28 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **გ. ვ. მთვარაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „კოლხეთის ელემენტების გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს ტყეებში".

ოპონენტები: პროფ. ნ. ნ. კეცხოველი, პროფ. გ. ზ. გულისაშვილი.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.
50

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი.

12 დეკემბერს 1 აბონ. მე-3 წარმოდგენა
დღის წარმოდგენა

ან. ოსტროვსკი თარგმანი ელ. ანდრონიკაშვილისა
უდანაშაულოდ დამნაშავენი
დადგმა აკ. ვასაძისა.
დასაწყისი დღის 12 საათზე.

აბონემენტების მქონეთა საყურადღებოდ აბონემენტის I, II და III გადასახდელი სავალდებულოა. ვისაც გადახდილი არ ექნება, წარმოდგენაზე არ დაიშვება.

2—2 85 დირექცია.

საქორგაღრიცხვა

ყველა ადგილობრივი რესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1939 წლისთვის აღრიცხვის და ანგარიშების ბლანკებზე

განაცხადების წარმოდგენის

უკანასკნელი ვადაა 1938 წ. 15 დეკემბერი.

იმ ორგანიზაციებს, რომლებიც განაცხადებს წარმოადგენენ აღნიშნული ვადის შემდეგ ან არა დამტკიცებული ფორმით, ქაღალდის ფონდი არ გამოეყოფათ. ყველა ცნობებისა და განაცხადების ფორმების მიღება შეიძლება საქორგაღრიცხვაში, ძერჟინსკის ქ. 22.
1388

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წ. 29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ზ. პ. რომაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „პოლიპერსონალიზმი ქვემო ადიღეურ ენის ზმნებში".

ოპონენტები: პროფ. არ. ჩიქობავა, პროფ. ს. ჯანაშია.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე
1384

„სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების „იზვესტიას" გამომცემლობა. მოსკოვი, პუშკინის მოედანი, სახლი 5.

მიიღება ხელის მოწერა
1939 წლისათვის

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში"
იბეჭდება:

კანონები, **ბრძანებულებანი**
მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

და საინფორმაციო მასალა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს, მათი მუდმივი კომისიებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს

მუშაობის შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები"
გამოდის მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე:

რუსულზე, თურქმენულზე,
უკრაინულზე, უზბეკურზე,
ბელორუსულზე, ტაჯიკურზე,
აზერბაიჯანულზე ყაზახურზე,
ქართულზე, ყირგიზულზე.
სომხურზე,

ხელისმოწერის დროს საჭიროა აღინიშნოს, რომელ ენაზე სურს ხელისმომწერს მიიღოს „უწყებები"

ხელისმოწერის ფასი 1939 წლისათვის 10 მ.

ბელისმოწერას მიიღებენ:
ყველა საფოსტო განყოფილება და ფოსტალიონები, ხელისმოწერის შემკრებნი საწარმოებსა და დაწესებულებებში და „კოგიზის" განყოფილებანი.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34' ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ—1426